„ღმერთო,
სამშობლო მეცოცხლე,
მძინარეც
ამას ვდუდუნებ!“

კავკასია

ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №3-4 (39-40) მარტი-აპრილი 2010 წელი ფასი 1 ლარი

ყვარელი ყველა ქართველისათვის წმიდათაწმიდა ადგილია, რადგანაც აქ დაიბადა ერის მამა, XIX საუკუნეში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გენიალური ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ერმა უგვირგვინო მეფე უწოდა და მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ჯი ერის მამა წმინდანად შერაცხა. მას შემდეგ იგი წმიდა ილია მართლად იწოდება.

„თითქოს ილიაზე განმეორდა იერემია წინასწამეტყველისადმი თქმული უფლის სიტყვები: „ვიდრე გამოხვიდოდი შენ საშოდან, მე განგწმინდე შენ, წინასწარმეტყველად ხალხთა დაგადგინე შენ...

მან იტვირთა ჯვარი სრულიად საქართველოისა და შეუდგა გოლგოთის ალმართს.”

ილია II

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლ მოდრეკილი, ღმობიერი ვდგევარ შენ წინა,
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცვყო მე ღოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით ალმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ღახვარი მკრან,
გთხოვდე: შეუნდე - არ იციან, ღმერთო, რას იქმან!

ილია ჭავჭავაძე

დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე ალბარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.
ილია

ყვარელში გაიზარდა საქართველოს მეშვენება, მსოფლიო კინოვარსკვლავი

დოდო ჭიჭინაძე,

რომელსაც მეობლიურმა ყვარელმა მის დაბადების დღეზე — 28 თებერვალს ხსოვნის საღამო გაემართა.

გვ. 4-5-6



ქართული ნოველის კლასიკოსი- რევაზ მიშველაძე

გვ. 3

კოლორიტი
— * —
რეზო ჭიჭინაძე

გვ. 6-7



პ რ ო ბ ლ ე მ ა

„ჟალეთის“ თემის, „საქართველოს მთიანეთის თემთა კავშირის“ დარბაზის და ეროვნულ ტრადიციათა დაცვის ცენტრის ერთობლივი

მიმართვა

„ჟალეთის“ თემის, „საქართველოს მთიანეთის თემთა კავშირის“ დარბაზის და ეროვნულ ტრადიციათა დაცვის ცენტრი ცალსახად უჭერს მხარს სრულიად საქართველოს საერთო ეროვნული კრების მოწვევას, ქვეყნის გადაყვანას სახალხო მმართველობაში.

თემთა დარბაზის უხუცესნი მოითხოვენ ეროვნული კრების მიერ სახალხო სასამართლოს შექმნას, რომელმაც უნდა გაასამართლოს უპირველეს ყოვლისა! (და დაუყოვნებლივ) „თავისუფლების ინსტიტუტი“, მისი დესტრუქციული, ანტიეროვნული და ანტიქრისტიანული დივერსიის გამო.

ვთვლით, რომ ყოველი უბედურების და ბოროტების, ზნეობრივი და სულიერი დეპრესიის (რყევების) მიზეზი გახლავთ ეს „ინსტიტუტი“, მის მიერ ილახება ზოგადად როგორც ერის, ასევე კონკრეტულ ღირსეული მოქალაქეთა, მამულიშვილთა, „კაი ყმათა“ – ღირსება და ავტორიტეტი.

აგვევსო მოთმინების ფიალა და აღნიშნული მიმართვის ტექსტი (და მოქმედების აუცილებლობა) გვიკარნახა ეკლესიისა და პატრიარქის მიმართ წამოწყებულმა ახალმა კომპანიამ.

გამოქვეყნდა საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ფაქტობრივად ფიზიკური განადგურებისთვის და მართლმადიდებლური ეკლესიის დასამარებისთვის გათვლილი პასკვილი, რომელსაც 235 სუბიექტი აწერს ხელს. უფრო სავალალო ის არის, რომ ამ მოვლენას ხელისუფლება და პარლამენტი მდუმარე თანხმობით ხვდება – იგივე ვითარებაა, როგორც ილია ჭავჭავაძის დროს იყო! ერთნი ტყვიას ესროდნენ და მეორენი „ხელს იბანდნენ“.

დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის (რომელიც სააკაშვილის ხელში ფარატინა ქაღალდად იქცა) ფუძემდებლური მუხლი (კონკორდატი), რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიას საერო ხელისუფლებასთან გარკვეულ თანასწორობას ანიჭებს.

ამ მავნებლური წერილის უკან დგას „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელმაც აცდუნა ქართველი ხალხი და ხელისუფლებაში თავისი „ხლისტები“ ჩასვა, რომელთა ხელითაც ახორციელებს ყოველ ქმედებას და წარმართავს ანტიქართულ, ანტიქრისტიანულ პროცესებს ქვეყანაში.

ჩვენთვის, ქართველთა ყოველი კუთხისთვის და თემისთვის მიუღებელია ამათი სატანისტური სოფიზმი, მათი არაქართული სულისკვეთება, მათი შეურაცხმყოფელი მოქმედება, როგორც ცოცხალთ, ასევე მიცვალებულთა მიმართ!..

ვინ არის მოღალატე? – ესენი ქართველ ხალხს, ერს და ეკლესიას აცხადებენ მოღალატედ, ეს ერთი მუჭა „ჰომონოკუსები“ ანუ სხვათა მიერ ერის უბეში ჩასმული „გუგულის კვერცხები“ – რაკი მათი ნება და სულისკვეთება არ ემთხვევა მათ სურვილებს (და მისიას)

ვაცხადებთ, რომ შექმნილი ვითარება კატასტროფულია! – ქართველი ერის ცხოვრებაში დგას უმძიმესი ჟამი, რომელიც შეუქცევად პროცესად ყალიბდება, ხდება სტაგნაცია მავნე სახელმწიფო (პოლიტიკურ) წესთა და მოვლენათა. ასეთი რთული ჟამი ედგა ჩვენს ქვეყანას თურქთა ბატონობის, თემურ ლენგის და ბოლოს შაჰ-აბასის დროს.

ახლაც იგივე ვითარებაა, ისეთივე საღვთო ძალთა გამოხმობა საჭიროა საქართველოს ყოველი კუთხიდან, თემიდან, სოფლიდან

ჩვენ „ჟალეთის“ და მთიანეთის 24 თემის უხუცესთა დარბაზი ვაცნობიერებთ რა შექმნილი ვითარების „ფატალურობას“, მოვითხოვთ აქტიურ რადიკალურ მოქმედებას და მხარს ვუჭერთ სრულიად ქართველთა სახალხო კრების მოწვევას, ამის შესახებ ჩვენ გამოგვიცხადებია არა ერთხელ უწინაც, მაგრამ ახლა „ბოლო ჟამი“ დგას და დრო არ იცდის, დაუყოვნებლივ მოვითხოვთ მოვიწვიოთ სრულიად საქართველოს ხალხთა ყრილობა, ყრილობაზე მოვიწვიოთ ქართულ მიწაზე მცხოვრები ყოველი თემის არჩეული უხუცესი რელიგიისა და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, სახალხო ფორუმმა უნდა შექმნას და დააკანონოს საზოგადოებრივი სასამართლო – განსჯადი და არა დასჯადი სასამართლო, მუდმივმოქმედი სასამართლო, რომლის პირველი განსასჯელი საქმე იქნება „თავისუფლების ინსტიტუტის“ სამართალში მიცემა, სასამართლო აბსოლუტურად ღია უნდა იყოს და გადაიცემოდეს ტელეარხებით. სახალხო ფორუმი ღია უნდა იყოს კავკასიისა თუ მეზობელი თუ არამეზობელი ხალხების წარმომადგენლებისათვის – ყველასთვის, ვისთვისაც დედამიწაზე სამართლიანობა და სიცოცხლის უზენაესობაა მთავარი.

არის ზოგიერთი რამ, რაც ღიად უნდა ითქვას – და დარჩეს დაფარული საიდუმლო, მაგრამ იდეა და პროცესი ძირითადად უნდა იყოს ნათელი და პირდაპირი.

პროცესში უნდა ჩაერთონ თემის კითხული კაცები, უხუცესნი, ახალგაზრდები, „სარანგნი“ საქართველოს ყოველი ისტორიული კუთხიდან და თემიდან, აქ სახალხო კრებაზე უნდა მოვიდნენ, თემის და კუთხის რჩეული კაცები, ამორჩეული ღია (დაფარული) წილის ყრის გამოკითხვის, (სახალხო პრაიმერით) თემმა, სოფელმა, კუთხემ, კარგად იცის ვინ არის „კაცი კაცადი“ – და ვინ ურჩევნია მათ წარსაგზავნად, ახალ „ბახტრიონზე“ თუ „კრწანისზე“.

ჟალეთის და საქართველოს მთიანეთის თემთა კავშირი (უხუცესთა დარბაზი) აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სრულიად საქართველოს სახალხო კრების მომზადებასა და ჩამოყალიბებაში, სადაც ჩვენი ღრმა რწმენით უეჭველად უნდა მოვიწვიოთ ქართველთა დიასპორის წარმომადგენელი მსოფლიო სივრციდან!

ჟალეთის თემთა დარბაზი, საქართველოს მთიანეთის თემთა კავშირი (24 თემი) ეროვნულ ტრადიციათა დაცვის ცენტრი.

მუზასთან ჩურჩულში გასული წლეგი...

„ქვეყნად სიყვარულის გარდა
არცრა მშურდა არავისი,
მიყვარს მუზის ჩურჩული და ცრემლიანი ღაღადისი.
უიმისოდ რა მაცოცლებს,
უიმისოდ რაღა მიხსნის?!“

წერს ერთ-ერთ ლექსში პოეტი **ირმა მებურიშვილი**, რომელსაც ახლახან 50 წელი შეუსრულდა და, მართლაც, მას, ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ უფლის, პოეზიისა და მოყვასის სიყვარული მფარველობდა და ასულდგმულებდა; ხშირად საკუთარ გულსაც შეუძახებდა:

„გულო, რას მიელტვოდი, ოცნებები სად აგე?
არც მიწა მოინდომე, არც ცას მიესადაგე.
ყოფნა უფრო ძნელია, სიკვდილია სადაგი,
სული ნუ გეცოდება, ლექსებით დასადაგი“.

ამიტომაც ირმას პოეზიაში სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული სევდა გამოკრთის, რადგან „ყოფნა უფრო ძნელია, სიკვდილია სადაგი“. ამ საწუთროსგან მან ბევრი ტკივილი განიცადა, ბევრი წარმატება და სიხარულიც ნახა და მაინც: „სული არასდროს შესცოდებია, ლექსებით დასადაგი,“ „ვერც უფალთან, ვერც ლექსთან ვეღარ იფარისევლა“ და საკუთარი თავის პოეტად დაბადების (მოვლინების) წამი ახალ გარდასახვად შეიგრძნო:

„როდესაც ლექსად გარდავისახე,
მეგონა, სული სხეულს გასცილდა...“

მას შემდეგ, ირმა მებურიშვილი პოეზიის ტაძარში ლამაზი ლექსების სანთლებს ანთებს და იმ ღვთაებრივ სიტყვას დაეძებს, რომელიც ჯერ არ თქმულა:

„სიტყვა, რომელსაც დავეძებ
არ დაწერილა, არ თქმულა...“

მინდა, მშვენიერ პოეტს, ირმა მებურიშვილს, რომელმაც არაერთი, მხოლოდ მისეულ სიტყვას და რითმას უკვე მიაგნო და თავის ლექსებში დაასახლა, მივულოცო 50 წლის იუბილე და ვუსურვო, ის უკვდავი სიტყვაც მოეხელეთებინოს დღედაღამ ასე გულმოდგინედ რომ დაეძებს ყველა ღირსეული პოეტი.

ბაღათერ არაბული.

ექსპრომტი

ალვის ხესავით მაღალს და ლამაზს,
ქალს, დედას, პოეტს, მშვენიერ დამას,
ვინაც აჟღერებს ჯადოსნურ ხემით
ფერებისა და ბგერების გამას,
ქალური კდემით გმირულად უძლებს
ვინც უბედური სამშობლოს დრამას,
მსგავსნი რომლისაც კვლავ მოგვივლენენ
სამშობლოს მცველად არაგველს სამასს,
მას მინდა ვუძღვნა წიგნი საგმირო
(რომ წაიკითხავს, რად უნდა თქმა მას!)
რა სიკეთესაც მისთვის ვინატრებ,
ის უთქმელადაც გამიგებს ამას,
ენაცვლოს იმას ზეზვა ბიძია,
მე არ ვარჩიო ქალებში სხვა მას,
მებურიშვილი – მეფური შვილი,
საამაყოდ ჰყავს ის თავის მამას.
იმრავლოს მისმა ჯიშმა და ძირმა,
მებურიშვილი ვინც არის ირმა,
იცოცხლოს დიდხანს და გვაფრთოვანოს
ნიჭმა ელვარემ და გასაკვირმა.

ზეზვა მედულაშვილი.

ირმა მებურიშვილი 50

ირმა მებურიშვილის პოეზიის საღამოზე სათქმელი სიტყვა

ირმა მებურიშვილი ჩემი მეგობარია, მაგრამ, როდესაც საქმე პოეზიას ეხება, მეგობრობა მნიშვნელობას ჰკარგავს. უცხო ადამიანიც ჩემი მეგობარია, თუ იგი მართლა პოეტია. მნიშვნელობას იძენს ასეთ დროს ის პატივისცემა და აღფრთოვანება (ოღონდ არა ხბოს აღტკინება), თავისთავად, უნებურად რომ ჩნდება შენს სულში...

მე განგებ არ ვამახვილებ ყურადღებას ირმას ადამიანურ თვისებებზე: მაგალითად იმაზე, რომ სიკეთე და თანადგომა მისი ბუნებრივი მოთხოვნილებაა... რომ მას შეუძლია უკანასკნელი ლუკმა გაიღოს, ნებისმიერ დროს შეიწუხოს თავი მოყვასისათვის და ამით ბედნიერი იყოს. ირმა ასეთი რომც არ იყოს, იგი მაინც იმსახურებს ყურადღებას თავისი სრულიად განსხვავებული ხელწერით, დახვეწილობით, ლამის განუმეორებელი სტილით. ეს ის პოეტია, რომელიც სტრიქონებს, მეტაფორებს თითქოს ჯერაც ხელუხლები ქართული ენითა და ფერებით ქსოვს.

თავად ირმა ბუნებით ეიფორიულია, ოღონდ მისი პოეზია ისევე სავსეა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პასტორალური სიდარბაისლით, როგორც „ქართული პატიოსნებით“.

ახლა ირმა სხვა ჭრილშიც დავინახოთ:

„...პირველში ფანტასტი მეტია,
მეორეში – ნაკლები,
პირველი – პოეტია,
მეორე – სპექტაკლები!“

ირმა პოეტია, სხვებმა, დაე, დადგან სპექტაკლები, ააყვავონ სიყალბე და იშრიალონ ამ „აყვავებულ ბუტაფორიულ ბაღში“.

ირმა აცხადებს: „სიკვდილია სიცოცხლე სიყვარულის გარეშე!“ მერე რა, რომ იბრძვის და უთანასწორო ბრძოლაში ხშირად მარცხდება! ჩვენი სტერეოტიპული გარემო ხომ დაუნდობელია, განსხვავებული და გამორჩეული ადამიანების მიმართ!..

გალაკტიონს დავესესხები:

„...მაგრამ თუ შენში არის გენია
და ისიც კიდევ გაუგებარი,
ბრძოლაში ბედი არ გიწერია,
შენ არ მიგიღებს ბირჟა მყეფარი!“

ჩემო ირმა, იყეფოს ბირჟამ, შენ კი წერე შენი მშვენიერი „არასაბირჟო“ ლექსები.

მიყვარხარ!

მზია ხეთაგური

მილოცვა

გაზეთ „კავკასიის“ ჟურნალისტები გულითადად ვულოცავთ იუბილეს თვალსაჩინო პოეტს **ირმა მებურიშვილს** და ვუსურვებთ კვლავ გაგვახაროს ლექს-შედევრებით.

რევაზ მიშველაძის დაბადების 70 წლისთავის იუბილეზე, მაჩაბლიშვილის თეატრში, 2010 წლის 22 თებერვალს.

22 თებერვალს მარჯანიშვილის თეატრში დიდი კლასიკოსი მწერლის, მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის რევაზ მიშველაძის 70 წლისთავის იუბილე გაიმართა. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა. რევაზ მიშველაძის შემოქმედებაზე დარბაზს მოხსენებით წარუდგა სოსო სიგუა. იუბილარს მიესალმა: ფრიდონ ხალვაში, გიორგი გიგაური, ვუგარ ალიევი (აზერბაიჯანი), დავით შემოქმედელი, იგორ კვესელავა, ვაჟა აზარაშვილი, ჩოხოსნები (მერაბ კირკიტაძის მეთაურობით), თეიმურაზ ლანჩავა, ჯემალ ინჯია, ანზორ აბრალავა, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, იური ბიბილეიშვილი, თენგიზ უთმელიძე, ომარ მხეიძე, ვახტანგ დავითაია, ჯუმბერ ჯანდიერი, ვალერიან მამუკელაშვილი, ბადრი ქუთათელაძე, გოჩა ტყეშელაშვილი, მიმოზა ცანავა, თენგიზ სვანიძე, ელდინო საღარაძე, პალიკო ნოზაძე, ენრიკო ჯანელიძე, დავით გველესიანი, რეზო ადამია, შოთა ლეჟავა, ამირან შალიკაშვილი. რევაზ მიშველაძემ მადლობა გადაუხადა იუბილის ორგანიზატორებს და დამსწრე საზოგადოებას.

დასასრულს, პანტომიმის თეატრმა წარმოადგინა პრემიერა — „ქრისტე“ (სცენარი რევაზ მიშველაძის, დადგმა ამირან შალიკაშვილის), რომელმაც მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ბატონებო“

მიკროფონთან მისვლის ასე არასოდეს შემშინებია.

ამ დილით სახლიდან რომ გამოვდიოდი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რაღაც საშინელი დანაშაული ჩამედინოს და კინაღამ დავურეკე მაყვალას, უარს ვამბობ იუბილეზე-მეთქი. ამიტომაც ჩემს სიტყვას ასე დავიწყებ: უღრმეს მადლობასთან ერთად ბოდიშსაც გიხდით, რომ ამ სიცივეში მოგიყვანეთ.

რა მეიუბილეებოდა...

ყველა ყველა და მე კარგად ვიცი, რომ საქართველო დაღვრემილია და ახლა ზეიმის, დრო არ არის. და მაინც ჩვენს დღევანდელ შეკრებას ნურავინ მიიჩნევს ტრადიციულ იუბილედ, დაფნისმაძიებლობას რომ მოჰყვება ხოლმე. არც ლიტერატურისმოყვარულთა ფორუმია ეს, ერთ კალმის კაცს რომ პატივისცემა დაუდასტურონ.

ეს გახლავთ ამ მშვენიერ თეატრში ერთი საერო ტრიბუნის დადგმა, რათა მიკროფონთან მისულმა ჩემმა მეგობრებმა და კოლეგებმა ქართველ ერს მწერლის საღვთო დანიშნულება მოაგონონ და მის ადგილზე მიუთითონ ერის ცხოვრებაში.

დღეს რატომღაც მწერლობა სხვა ხელობათა, ანუ პროფესიათა შორის ერთ-ერთ რიგით პროფესიადაა მიჩნეული. არადა, ერის სულიერი ბელადი და წინამძღოლი საქართველოში, ქართულ ეკლესიასთან ერთად, ქართული მწერლობაც იყო.

დღესაც ასეა. და თუ ასე არ არის, ასე უნდა იყოს. პირველ რიგში ჩვენი სიცოცხლისა და სიკვდილის უმთავრეს დვრიტას, ჩვენი ურვა-წუხილის მიზეზთ-მიზეზს, საქართველოს მდგომარეობას ჩავუფიქრდეთ:

ვის დავუმალო, მძიმე დღეში ვართ. ასე მტერმორეული იშვიათზე იშვიათად ვყოფილვართ ჩვენი ზიგზაგებიანი ისტორიის მანძილზე:

ბოლო ოცი წლის განმავლობაში განსაკუთრებით ჩქარი ტემპით ვკარგავთ ისტორიულ მიწებს. თითქოს ზღაპრული ფასკუნჯის ფრთაზე ვზივართ და წამდაუწუმ ვიჭრით ხორცს, რათა დაუნდობელმა ფასკუნჯმა მთლიანად არ გადაგვყლაპოს. **ჭაბუამ ბრძანა,** ჩვენ უნათესავო ერი ვართო; ჩვენთვის თავი არავინ გამოიდო. ერთი გაგვიღიმეს ღარიბი ნათესავივით და შეგვატოვეს ჩრდილოურ ვეშაპს. ამ დროს, იმის მაგივრად, რომ მტრის მოსაგერიელებლად ხმალს ვლესავდეთ და მეცხვარის ძაღლებივით ერთმანეთს ზურგს ვუმაგრებდეთ, ერთმანეთს ვჭამთ. ნერვები დაწყვეტამდე გვაქვს დაჭიმული. მთელი ერის ნევროზით დაავადება თუ შეიძლებოდა, ვერ წარმოვიდგენდი.

მიტინგებზე ლამაზი, მაგრამ ფუჭი ლაპარაკი ვისწავლეთ და არჩევნებიდან არჩევნებამდე ვცხოვრობთ. თითქოსდა მთელი მსოფლიოა მოწადინებული, რომ როგორმე არჩევნებიდან არჩევნებამდე გავძლოთ. იცოდეთ, შეიძლება როდესმე შინაშუღლი დამთავრდეს, მაგრამ თუ ტერიტორია აღარ გვექნება, საქართველო, როგორც სახელმწიფო, აღარ იარსებებს. ამიტომაც ჩვენი მიწის ყოველ მტკაველს უნდა გავუფრთხილდეთ.

დღეს რომ აქ თქვენს კეთილშობილურ სიტყვებს ვისმენდი ჩემს მოკრძალებულ შემოქმედებაზე, ასე მეგონა, სხვაზე ლაპარაკობდით. ასე მეგონა, ერთი ტანჯული კაცის ცხოვრებაზე კინოფილმს ვუყურე, ახლა კინოთეატრიდან გამოვედი და ჩემი ნამდვილი ცხოვრება უნდა დავიწყო-მეთქი. ჩემი პირველი სტრიქონებიდან ოპოზიციონერი ვიყავი და ჩემთვის თავზე ხელი არავის არასოდეს დაუსვამს. დღესაც სიამოვნებით მოვაწერ ხელს, რაც 50 წლის წინ დამიწერია. ოღონდ რადიკალიზმის მომხრე არასოდეს ვყოფილვარ. არასოდეს არცერთ რევოლუციაში მონაწილეობა არ მიმიღია. მწერლის ფუნქციად შუაკაცობა, შერიგებისკენ მოწოდება, მიტევება მიმაჩნდა ნიადაგ. ისეთ სასტიკ ვითარებაშიც ვყოფილვარ, რომ მეგონა უკან სულ ვიღაც მედგა და ჩემს ხელნაწერებში იხედებოდა, მაგრამ სასოწარკვეთას არ შევუპყრივარ, კალამი არ დამიგდია და ხელები უმწეოდ არ ჩამომიყრია. ყველაფერს ავიტან მწერლისა და ხელოვანისადმი საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულების გარდა.

დადის ახლა პლაშის ჯიბეში ხელჩაყოფილი და საყელოაწეული უამრავი ჩემი კოლეგა გულგრილობით გულდაკოდილი. საშინელი გრძნობაა გაფიქრება იმისა, რომ შენ ჩამოგწერეს, საჭირო აღარა ხარ, არ გკითხულობენ, არ დაგეძებენ.

ამიტომაც ხელოვანის ცხოვრების ამ ფონზე როგორ არ დავუსახო სხვას მაგალითად, რასაც ამ ბოლო დროს **თბილისის მერია და კულტურის სამინისტრო** მუზის მსახურთა მიმართ აკეთებენ. სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ ჩვენი ერთ მუშტად შეკვრა კიდევ შეიძლება, თუმცაღა ბოლო წლებში უამრავი შეცდომა იქნა დაშვებული. აგერ ჩვენ თვალწინ **ვინმე ლომაიამ** მორალურად გაანადგურა ინტელიგენციის დიდი ნაწილი და პასუხი არავინ აგებინა. უსაგნო ექსპერიმენტებით ნამუდრეგალს რაღა ეშველება, მაგრამ წინ უნდა გავიხედოთ და შეცდომათა გასწორებაზე ვიფიქროთ.

აგერ, ჩვენ თვალწინ გაირკვა, რომ თურმე საჭირო ყოფილა პატრიოტული აღზრდა, თურმე საჭირო ყოფილა მსოფლიო კულტურის ელემენტარული ცოდნა.

და მერე ვინ ზრდის ადამიანებს პატრიოტებად? ვინ მოუწოდებს ეროვნული ფენომენის დაცვისკენ? ვინ მიაქცევინებს ყურადღებას მსოფლიო კულტურისკენ? ისევ და ისევ მწერალი და ხელოვანი.

რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის ლექსებზე რომ ყოფილიყვნენ გაზრდილი ჩვენი ჯარისკაცები, ვინ იცის, იქნებ არ გვეხილა სამარცხვინო სურათი ჩვენი ბიჭების დაჩოქებისა 2004 წელს ცხინვალის მოედანზე, ან არ განგვეცადა სიმწარე დღენახევარში დამთავრებული ომისა.

ყველამ უნდა შევძლოთ კონკრეტული ისტორიული რეალობის გათვალისწინება. ვირტუალურ სამყაროში ცხოვრება ხეირს არ დაგვაყრის. უნდა ვიცოდეთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის და ახლა უკრაინის არჩევნების შედეგად სხვა დრო, სხვა მსოფლიო მოვიდა.

ხშირად მეკითხებიან, რატომ ვთქვი უარი ე. წ. **დავით აღმაშენებლის პრემიაზე.**

დიახ, უარი ვთქვი იმ **რუსეთის პრემიაზე,** რომელსაც **აკაკი** „გაიძვერა მოყვარეს“ ეძახდა, ხოლო **ილიამ,** მისებურად, წარბშეკვრა-ირონიით დასძინა: „რაც კარგი ექნას რუსისა ხიშტსა, ღმერთმა იმ რუსსა უკანვე მისცეს“.

მე უარი ვთქვი იმ რუსის პრემიაზე, რომელმაც 1801 წელს სახელმწიფოებრიობა გამიუქმა და ალავერდის თუ სვეტიცხოვლის ფრესკები კირით შემითხუპნა. მე უარი ვთქვი იმ რუსის პრემიაზე, რომელმაც შარშაწინ 160 ქართული სოფელი წამართვა და საერთო ჯამში 1/3 საქართველო ოკუპირებული აქვს, მაგრამ იქვე ისიც დავძინე, რომ არც საქართველოს გამალებული **ამერიკანიზაციის** მომხრე ვარ. ჩემი ქვეყნისთვის სულერთია მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ტურა.

თუმცა, აქვე ხაზს ვუსვამ, რომ დამდურების პოლიტიკას ნდობით არ ვუცქერი. **მეზობელ რუსულ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მშვიდობიანად გარკვევა ხელისუფლების უახლოეს მიზნად მესახება.**

რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, ვცდილობ ჩვენი დროის სურათები არ დავუკარგო მომავალ თაობას.

ახლახანს დავამთავრე ჩემი პირველი რომანი. იგი თანამედროვეობას შეეხება. „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ ჰქვია და იმ ნერვულ ეპოქაზე გვიამბობს, კაცი რომ ჩურჩულს გადააჩვია. რომანის გამოცემით დაინტერესდა ერთი უანგარო გამომცემელი, მშვენიერი გამომცემლობის „საქართველოს მაცნეს“ ხელმძღვანელი **ლევან ფოფხაძე** და მისი შემწეობით ორ თვეში წარვუდგები მკითხველს.

მაპატიეთ, რომ ჩემს თავზე მოგახსენებთ.

მე ვინ ვარ, ერთი პატარა ნამცვრევი დიდებული ქართული მწერლობისა, მაგრამ ისეთი ნამცვრევი კი, რომელსაც სულმნათ წინაპართა გაკვალული გზიდან არასოდეს გადაუხვევია.

რაც შეეხება ქართველ მწერალთა სახელოვან კავშირს, მას დღევანდელ ხელისუფლებასთან სამი სათხოვარი აქვს: ყოვლის ღონისძიებით **შეუწყოს ხელი ეროვნული ფენომენის გაძლიერებას, დაუყოვნებლივ დაგვიბრუნოს მწერალთა სასახლე და შეძლებისდაგვარად დააწესოს ყოველთვიური სტიპენდია-დახმარება მწერალთა კავშირის წევრებისათვის.**

ზოგს ახლა, სიბერეში, გაახსენდა, რომ მწერალი ოპოზიციონერი უნდა იყოს. სწორედ მწერალმა უნდა მიუთითოს სახელმწიფოს, თუ მას ზნეობრივი დაცემის საფრთხე ემუქრება იმის შესახებ, რომ „დანიის სამეფოში რაღაც — „დალპა“, სწორედ მწერალმა უნდა გადაჰკრას მათრახი ქონებასგამოდევნებულ მედროვეებს შეძახილით — „თქვენ ცუდად ცხოვრობთ, ბატონებო!“ და სწორედ მწერალმა უნდა დაიკვნესოს მეფე ლირის გულმდუღარე დაკვნესებით:

„როგორ დაბნელდა, სული მეხუთება, შემიხსენი საკინძე, კორდელია!“

იზა ჯაჯვაძე

რევაზ მიშველაძეს

არ მაყიწყდება, არ ეიკა, რაჯგოთ,
ეით ალავერდის ეგაძრის წარწერა,
ალაზნის ველზე თეთრი ქარაგნის
აღლვებული ეგალდა ამარწევდა.
დაეიდეიანე, არ ეიკა, რაჯგოთ,
ამგრამ ჯერ კიდევ ეერრა სურეილი,
რადგან ჯერ კიდევ არ ეანფესილა
ამის ეიწრეებში ზეკის სურნელი.
საუკუნეი დათვრეგეებენ,
სეგორზე ირსეა „ეეძლი ეესასა“,
არეიი ზეთთ დანის ბირეეთ
დასერაეს თეეთს ნაზს და ესილაეს.
და სეობებში ეკისფერ ფაელებით
ეთთაეაშებენ ქარდი ეგალდები...
ეაღეა ესარიდან ზურგ ეექცეული
ეთჩანს ეაეული წარსულ ჯვრებით.
ლოდზე ჰეიდა ეზე ცეცხლისფერი,
როგორეა ქეთრის ეეება თარი,
როგორეა ეეთიური და ზეკეური
თეს ეეთინებათ დილის ეისარი.

ვარსკვლავი

დოდო ჭიჭინაძე

1925 წლის 28 თებერვალს ქუთაისში დაბადებულმა ბავშვმა ყვარელში გაახილა თვალი. პირველად აქ იხილა დედა – ყვარელი, როგორც მშობელი. ნათლია **ვახტანგ ტაბლიაშვილის** მამა იყო, რომელიც იმხანად ყვარლის ეკლესიის მოძღვარი გახლდათ. პირველი ნაბიჯებიც ყვარლის მიწაზე გადადგა და საშუალო სკოლაც აქ დაამთავრა. პირველი მეგობრებიც ყვარელში ჰყავდა.

ყველაფერი პირველი ყვარელთან აკავშირებს, მაგრამ მისმა თვალისმომჭრელმა სილამაზემ კინოს აზიარა და მთელმა საქართველომ საამაყო შვილად გამოაცხადა.

მსახიობს ნუ ჰკითხავ რომელია შენი ბედნიერი დღეებიო. ის იმდენად ბევრია, რომ ჩამოთვლა ჭირს. რომელი ერთი პრემიერის დღე გავიხსენოთ, მაყურებლისგან ნაჩუქარი რომელი ერთი ვარდის თაიგული, აღტაცება და სიხარული. აღარას ვამბობთ იმ სახელშეურქმეველ ბედნიერებაზე, რომლითაც სიყვარული ასაჩუქრებს ადამიანს, მაგრამ ქალბატონ დოდოს ყველასგან გამორჩეული ბედნიერი დღე აჩუქა ბედმა 1949 წელს.

ქართული კინოსა და თეატრის მომავალი აღიარებული ვარსკვლავი, ბედმა მწვანილის საყიდლად გზად მიმავალი გოგონა აპოვნინა რეჟისორს. მიზნის მისაღწევად დახმარება ამ ფილმის სცენარის ავტორს **სიმონ ჩიქოვანს** სთხოვეს.

პოეტის მეუღლე – ქალბატონი **მარიკა ასათიანი**, დოდოს მამის მკვიდრი დეიდაშვილი აღმოჩნდა. ბატონ სიმონს უთქვამს: თავი დაანებეთ მაგ საქმეს, მგონი მამამისი თავისი ქალიშვილისთვის გაგიჟებულია, კინოში არ გამოუშვებსო. მამის პასუხი კი ასეთი ყოფილა: რასა ჰგავს, ერთი გახუხული, შავტუხა გოგო, რაში უნდა გამოიყენოო. კინოსტუდიაშიც გახმაურდა შეშფოთებულად და ცოტა შურითაც ნათქვამი: „ყვარლიდან ჩამოუყვანიათ ვიღაც ერთი სოფლელი გოგო, რაში უნდა გამოიყენოო“. ამ მითქმა-მოთქმებს მაშინ დაესვა წერტილი, როცა სტუდიაში **კირა ანდრონიკაშვილი** შევიდა და შველივით დამფრთხალთვალება, მოკრძალებული გოგო გადაკოცნა და როლზე დამტკიცება მიულოცა. ვისაც რა უნდოდა ის ეწოდებინა „გახუხული და ყვარლიდან ჩამოყვანილი ვიღაც სოფლელი გოგო“. იმ ხანად მის მეგობრებში ამბობდნენ: ჩვენ კი, სრულიად პატარა ბავშვები, ვისაც გვქონდა ბედნიერება ყვარლის მეორე საშუალო სკოლის მაშინდელ უზარმაზარ ეზოში შეგვეჭნია ის ღვთაებრივი სილამაზე, რომელსაც დოდო ჭიჭინაძის გარეგნობაში ეპოვა თავშესაფარი, თითქოს ვგრძნობდით, რომ უკვალოდ არ ჩაივლიდა ეს სილამაზე და, მართლაც შვიდი წლის შემდეგ, როცა ჩვენ იგივე სკოლა დავამთავრეთ, დოდო ჭიჭინაძე უკვე ქართული კინოს ვარსკვლავად და მარადისობაში გადასულ სილამაზედ მოგვევლინა, რომელსაც პირველი პარტნიორობა **გიორგი შავგულიძესთან** ერგო. დამწყები მსახიობისთვის ეს ქუდბედია.

ქეთევანს ეთერი მოჰყვა. ამ ფილმში მისი პარტნიორები იყვნენ **ვერიკო ანჯაფარიძე, თემურ ხელაშვილი.** ამას მოჰყვა ფილმები: ბაშიაჩუკი, ცისკარა, ნინო და სხვა, დოდო ჭიჭინაძის სცენურმა ხელოვნებამ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კედლებში 55 წელზე მეტი განვლო. მსახიობის შემოქმედებაში თეატრალური წარმოდგენები მძლავრობს. ის სიკვდილამდე სცენაზე უნდა იყოს!.. ვეთანხმებით ამ ჭეშმარიტებას, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მარად უბერებელია ხელოვანის გული. ქალბატონ დოდოს სულში მუდამ ცოცხლობდა შირინის ნაზიმ ჰიქმეთის ლეგენდა სიყვარულზე, ზეინაბი ვაჟა-ფშაველას მოკვეთილში. ივდითის ურიელ აკოსტა, ანასი გოთუას – ერეკლე მეორე, ევრიპიდეს მედეა.

ივდითმა განსაზღვრა დოდო ჭიჭინაძის, დრამატული ხასიათი. თხუთმეტი წელი არ გაუხდია ანას კაბა სცენაზე. მსახიობის მიერ განსახიერებული როლები, მისივე სულის პირმშონი არიან, რაც მსახიობის ხასიათის მრავალფეროვნებაზე და მის ამაღლებულ სულიერ ცხოვრებაზე მიგვანიშნებს.

მედეამ, ისევე როგორც ჯარისკაცის ქვრივმა, დიდი აღიარება მოუტანა ქალბატონ დოდოს. ამბობდა: მე ვარ ქალი, რომელსაც სურვილი მაქვს ხელში იარაღი ავიღო და დავიცვა ჩემი სამშობლოო. ჩემი ოცნება იყო მეთამაშა ქეთევან წამებული, ვერ ვეღირსეო, სინანულით ამბობდა იგი.

აღიარება გვიანია, რადგანაც, როგორც ქართული კინოსა და თეატრის კორიფეებმა ხმამაღლა განაცხადეს: ჩვენ, ქართული საზოგადოება, კინო და თეატრი, მარად ვალში ვართ

უნიჭიერესი და უმშვენიერესი ქალბატონის წინაშე, რომლის სახელიც ყოველთვის გაანათებს ცას და რომელსაც საქართველოს ცა- ფირუზ-ზურმუხტი ჰქვია.

საქართველოს სახალხო არტისტის – **დოდო ჭიჭინაძის** სახელი იარსებებს მანამდე, სანამ ქართული ჯიში და გენი ცოცხლობს. მადლობა უფალს, რომ **არა მარტო საქართველოსი, მსოფლიო კინოვარსკვლავის განუმეორებელი საღამო შედგა ყვარლის კულტურის კერაზე მადლობა საქართველოს მშფოთვარე ჭირისუფალს, იმისათვის, რომ არსებობდა, არსებობს და იარსებებს მარადიულად დოდო ჭიჭინაძე. მადლობა ყვარლის რაიონის გამგებელს ბატონ ლევან გამსახურდიას, მთელს გამგეობას, მადლობა კულტურის სამსახურის უფროსს ბატონ მერაბ ნერსეზაშვილს, მადლობა კულტურის განვითარების ცენტრის კოლექტივს და მის ხელმძღვანელს ზურაბ ნინიაშვილს შთამბეჭდავი და განუმეორებელი საღამოს გამართვისათვის.**

იმ დღეს, ბევრი სტუმარი ეწვია **დიდი ილიას**, საქართველოს გულმხურვალე პატრიოტების, მამა-შვილი **ნიკო და ზურაბ ჯავჯავაძის**, **მსოფლიო კინოვარსკვლავის – დოდო ჭიჭინაძის** და სხვათა სამშობლო ყვარელს. მათ შორის იყვნენ მსახიობები: **ზინა კვერენჩხილაძე, თამილა ლასხიშვილი, კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი**, პოეტები: **ერეკლე საღლიანი, იზა ჯაჭვაძე** და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ საღამოზე მეტად შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა ილია ჭავჭავაძის მუზეუმის დირექტორმა **თამარ ზურიაშვილმა.**

ვანო პატარქალიშვილი,
ნონა მურვანიძე.

ჯანსულ ჩარკვიანი

ქალწყვეტილი ვარსკვლავი

დოდო ჭიჭინაძეს

ცა-ფირუზი ჩემი ცაა,
ცა ფირუზის ფერია,
ქენიცაა, ჩემიცაა,
სხვისი არაფერია.
ცა-ფირუზი ქალწყვეტილა
ვარსკვლავეთის ქვეშეებით,
ვინ დაუსვამს დრის ხერეტილი, –
ცაიდან ქალეჩვენები.
ქენ ცაიური ვარსკვლავი ხარ,
ქალიური კი არა,
ჰოდა, დიდხანს, დიდხანს, დიდხანს
ზეცა დაიცქერს კრიალა.
ლეერთქა იცის, სიდანა ხარ,
იცის შენი ტ ზა-ცვალი,
დიახ, დიახ, ცაიდანა ხარ –
ქალწყვეტილი ვარსკვლავი.

2009 წლის სექტემბერი

სიცოცხლეს ჩვენში აგრძელებს

საზოგადოება „თბილისელის“ საპრემიულო: –

იყო ზამთარი, ყინვა. ქალთა საკრებულოს წევრები ოქროს ვაგროვებდით. დერეფანში რიგი იდგა. საკვირველი იყო ღმერთმანი, თვითონ უჭირდათ და უკანასკნელს ქვეყანას სწირავდნენ. სამი ქალი მუშაობდა ყოველდღე. ერთი იღებდა, მეორე – რეგისტრაციაში ატარებდა, მესამე ჩამბარებლის ვინაობას და რაობას აზუსტებდა და იმ სიას უმატებდა, რომელიც მერე წიგნად იქცა და სახელიც საკადრისი მიიღო: „სიკეთით შემოწირული“.

ზამთრის იმ დღეს კომისიაში ქ-ნი **დოდო ჭიჭინაძე** იჯდა. გარეთ, რიგში ხმაური ატყდა. მოუთმენელმა კაცმა რიგის დაყოვნების მიზეზი გააპროტესტა და ძალიან გაბრაზებული შემოვიდა ოთახში. უცებ შედგა, გაჩუმდა, რამდენიმე წუთი ვერ მოაშორა თვალი დოდოს თვალებს, „ეს რა ვქენ, კაცო!“ – თქვა ჩუმად. მერე დაყარა მაგიდაზე მოტანილი ოქროს ნივთები და გავიდა. კიბეზე ისე სწრაფად ჩაირბინა, ძლივს დაეწია ჩვენი თანამშრომელი მისი გვარ-სახელის გასაგებად. „ეს რა მომივიდა, **სად მივხვდი, რას იფიქრებდა ის ქალი“. „ის ქალი“ დოდო ჭიჭინაძე** იყო. მარტო ეს აზრი ადარდებდა ამ კაცს. სხვები არც შეუმჩნევია. შეანათა დოდომ თვალები და მორჩა, გათავდა, მონუსხა.

გაჭირვება იყო, პურს ცალობით გასცემდნენ. **ქ-ნი დოდოს** რიგი რომ მოვიდა, მეპურეს პურიანი ხელი გაუშეშდა და დოდოს თვალების ეშხმა ერთხანს ასე ამყოფა. მერე ჰკითხა: „თქვენ ბაში-აჩუკის ცოლი არა ხართ?“ „ვარ, ნამდვილად“ – ისეთი ღიმილით უპასუხა დოდომ, რომ კაცი საბოლოოდ მოიხიბლა. კითხვა გამეორდა: „ნამდვილად ბაში-აჩუკის ცოლი და გურამიშვილის შეყვარებული ხართ?“ „ორივე ვარ, გენაცვალე“, – ისე უპასუხა დოდომ, რომ კაცი შეტრიალდა, პურები დაიმატა მკლავზე და ისე გადასცა დოდოს. ამ ლამაზი სცენის მოწმე პურის მომლოდინე ხალხს სიამოვნების ღიმილი შერჩა სახეზე.

საჭმელ-სასმელს, ტანსაცმელს ვუგროვებდით აფხაზეთში დაჭრილებს. დოდოს რესპუბლიკური საავადმყოფო ერგო. იყო ქალების წრიალი. ბატონი დავით ციციშვილი მშვიდად აწესრიგებდა საქმეს. ჩატვირთვის წინ ვიღაცას გაახსენდა: „კანფეტები, ტკბილეული რომ არ გვაქვს?“ „ხუთი წუთი მხოლოდ, მეტი არ მინდა. ახლავე მოვალ“ – და **ქალბატონი დოდო გაქრა.** მართლაც ცოტა ხანში დაბრუნდა. უკან მოჰყვა მანქანა, საიდანაც რამდენიმე ყუთი „სნიკერსი“ გადმოიტანეს. იმ დროს როდესაც ბავშვებისთვის დიდი გაჭირვებით და საცოდაობით ყიდულობდნენ თითო „სნიკერსს“, დოდომ ყუთები მოიტანა რაღაც წუთებში.

ივადოქრა, თვალებით ივადოქრა. მერე ღიმილიც დააყოლა, ალბათ შეარცხვინა კიდეც გამყიდველები, პატრიოტული მოკლე ლოზუნგი დაუტოვა და მოართვეს. კი არ მოუტანეს – მოართვეს!

არიან ქალები, ვისაც უსათუოდ მანქანის კარი უნდა გაუღო და ისე დასვა; ვისაც კი არ უნდა მიუტანო, უნდა მიართვა, ვისი ამ ქვეყანაზე ყოფნაც განგების საჩუქრად უნდა მიიღო. **ასეთი იყო დოდო.**

თვითონ კეთილგანწყობილი, კეთილი, კაცთმოყვარე, სხვისი ჭირის მოზიარე, მოფუსფუსე, აქტიური, თავდაუზოგავი ამ ასაკშიც კი, როცა შეეძლო თავი ზედმეტად არ შეეწუხებინა.

გაიხსნა მისი ვარსკვლავი. გაუხარდა. სუსტად იყო ემჩნეოდა. გაიხსნა ვარსკვლავი და ცაში ჩაქრა ორი ძალიან ლამაზი ვარსკვლავი – დოდოს თვალების სითბო და სხივი აკლია ამ ქვის ვარსკვლავს, მაგრამ დოდო მარტო ლამაზი ქალი კი არა, უკეთილშობილესი მანდილოსანი იყო. ცხოვრების წესია ასეთი, დიდი ვაჟას სტრიქონებს მოვიხსენიებ: „ავსა და კარგსა კაცისას როდი ივიწყებს სოფელი“.

გაგრძელება მე-5 გვერდზე ⇒

ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი

სიცოცხლეს ჩვენში აგრძელებს

ოთარ კობერიძე, კინომსახიობი:

— ჩვენ მოგვიწია პარტნიორობა და ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ნიჭიერ ქართველ მსახიობს შევხვდი. მას ვარსკვლავის გახსნაზეც ვუთხარი, რომ ღმერთმა მრავლად გაიმეტა მისთვის ნიჭიერებაც, სილამაზეც, სიკეთეც, ამიტომ იგი ბედნიერი ადამიანი იყო და ბედნიერი წავიდა ამქვეყნიდან.

გოგი დოლიძე,
კინომცოდნე

დოდო ჭიჭინაძეს

დიდი სანია, ჯერ კიდევ ჰეი,
იმ საუკუნის დასასრულიდან.
შენ უკვე იცი, შენ უკვე სდები,
ჩემთვის რა დიდი სასწაული ხარ.
როცა ჩემთან ხარ, როდესაც არც ხარ,
ვით კამათელის ტატრიებაზე.
მე ქრუანტელის ტამიელის ტალღა
შენი სხელის ტატნებაზე.
ერთხელაც მისმე იმ „სევდის ბიღში“,
ნახე, კეკლუცობს მთვარე ღრუბლებში.
დავედევნები დედოფლის აჩრდილს
და ტვიტაცებ უსასრულეთში.

ლეილა აბაშიძე — **დოდო ჭიჭინაძე ცაში გაფრენილი ვარსკვლავია.**

როცა მასზე ვფიქრობ, მახსენდება ძველი გამონათქვამი, ბრძენკაცს რომ ჰკითხეს: „რატომაა ბოროტი ადამიანი მუდამ ცუდ ხასიათზეო“. ბრძენმა უპასუხა: „იმიტომ, რომ მას აწუხებს საკუთარი უბედურება და სხვისი ბედნიერებაცო“.

დოდო ის ადამიანი იყო, ვინც სხვების ბედნიერებით ცხოვრობდა. საკუთარ დარდს კი ღირსეულად ატარებდა და არავის აგრძნობინებდა.

ღვთისმოშიში, ღრმად მორწმუნე, ყველა გაჭირვებულის დამხმარე და ქომაგი, უსამართლობასთან შეუპოვარი მებრძოლი და, რაც მთავარია, ღრმად ეროვნული მოქალაქე გახლდათ.

ის ფილმში — „დავით გურამიშვილი“ ქეთევანი კი არ იყო მხოლოდ, ეკრანის თეთრი ტილოდან მზირალი, ნამდვილი ქეთევან დედოფალი იყო, თავის ერზე უზომოდ შეყვარებული. ამიტომაც შეიყვარა იგი ასე უზომოდ ქართველმა მაყურებელმა!

უცხოეთში ყოფნის დროს საოცარი რამ შემემთხვა: საბჭოთა ფილმების კვირეულზე გახლდით რომში. ერთ ოჯახში სტუმრობის დროს სალოცავ კუთხეში ხატების გვერდით დოდოს უმშვენიერესი სურათი დავინახე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა! ეს ხომ ჩვენი დოდოა! წამოვიძახე, მაგრამ აქვე ვიფიქრე, ეს ხომ მკრეხელობაა: ჩვეულებრივი მოკვდავი — წმინდანების გვერდით, მაგრამ აღარავის შევეკამათე, პირჯვარი გადავიწერე და ვიფიქრე — ილოცონ! დაე, ილოცონ! ღვთიური სილამაზის მქონე და სიკეთით სავსე ქართველი ქალის გამოსახულებაზე! ესეც, ალბათ, ღვთის ნებაა!...

ადვილი წარმოსადგენია, როგორი იყო დოდო მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის, ნათესავებისათვის უზომოდ შეყვარებული თავის ერთადერთ აწ განსვენებულ **ძმაზე — რეზო ჭიჭინაძეზე.**

რეზო ჭიჭინაძე, უბადლო ვაჟკაცი, ჭკუითა და სილამაზით განთქმული, **დოდოს საფიცარი ხატი იყო! მათ დაძმურ სიყვარულზე ლეგენდები დადის დღესაც.**

ჩემო დოდო! როგორ გვაკლიხარ ყველას! როგორ გვცივა უშენოდ! რაც შენ აღარ გვყავხარ, ასე მგონია, ძარღვებში სისხლი გაჩერდა! მოგონებები მათბობს და ის, რომ ჩვენი ვარსკვლავები ასე ახლოს და გვერდიგვერდ გახსნეს კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ.კინოს, რომელსაც ორივემ შევწირეთ მთელი ცხოვრება. ახლა კი შენმა სულმა ვარსკვლავად ქცეულ ქვაში ჰპოვა მარადიული სიცოცხლე.

ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით სამარადისოდ.

ქალბატონ დოდო ჭიჭინაძის ოჯახს

დღეს ვეთხოვებით შესანიშნავ პიროვნებას და თავდადებულ მამულიშვილს, ქართული ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელს, მშვენიერ დოდო ჭიჭინაძეს. იგი ვალმოხდილი მიდის ამქვეყნიდან რადგან, შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება მოყვასის და სამშობლოს მსახურებას მიუძღვნა და ამით მაგალითად იქცა მრავალთათვის.

შევთხოვ ღმერთს, სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული, ხოლო მის ახლობლებს მიანიჭოს მხნეობა სულისა.

ვწუხვარ, რომ პირადად ვერ ვესწრები დაკრძალვას.

პატივისცემით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ილია II

2009 წელი, ნოემბერი.

ალაზა ხაიაური

დოდო ჭიჭინაძეს

შენ ისეთი სხივები გაყრია ამ ტუტებზე,
სილამაზის შეჯიბრში ნამდვილად მოუგებ მზეს,
თანაც ისე ავსილხარ თვალისთვის უმთავრესად
წყვდიადში გამოჩენას დაადარებ მთვარესაც.
თუ იცოდა უფალმა რას ქმნიდა და გამკობდა,
ფერებკრთალებს ვარდისფერს მაგ ბაგეთა გაბობა,
ყველა თვალ-მარგალიტი მაგ თვალების ცრემლია,
ვარდ-ყვავილის სურნელი შენთან შემირცხვენია.
თვალები, რა თვალები, თვალებში რა გიშერი,
ცოცა სხვათ უწილადე აგრეც, ღმერთი გიშველის!..

გაგრძელება მე-6 გვერდზე ⇒

ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი

სიცოცხლეს ჩვენში აგრძელებს

მარიკა კვალიაშვილი – ბედნიერებაა, როცა ღვაწლმოსილი ადამიანების ფასი იცის საზოგადოებამ, მომავალმა თაობებმა, მიუხედავად იმისა, ისინი ჩვენ შორის არიან თუ წარსულში მოიხსენიებიან. მათი ღვაწლი მეტად დიდია ქვეყნის წინაშე, რაც მათ სახელს უკვდავყოფს.

ასეთ ვალმოხდილ სახელთა შორის გახლავთ ყველასათვის ძვირფასი **დოდო ჭიჭინაძე**. დოდო ჭიჭინაძეს, ჩვენს დოდოშკას, ქალური სილამაზის სიმბოლოს, მე ქართლის დედად მოვიხსენიებ. იშვიათად მეგულება ქართველი ქალი, რომელსაც დოდოზე მეტად ჰყვარებია თავისი ქვეყანა და თავისი ერი, რომლისთვისაც მზად იყო გაეღო ყოველივე, რაც კი ებადა სიცოცხლესთან ერთად და აკი მის სიყვარულში ჩაიფერფლა კიდეც. იგი გულმხურვალე ქომაგი იყო ყველა გაჭირვებულისა და როგორც შეეძლო, ისე განიკითხავდა თვითეულ მათგანს, უკანასკნელ ლუკმას უნაწილებდა.

დოდო ცოცხალი მემატიანე იყო, რომელმაც კარგად იცოდა საქართველოს წარსული თუ დღევანდელი დღის ფასი. მას თავისი ცხოვრებით, შეიძლება ითქვას, არასოდეს უცხოვრია. სხვისი ტკივილი სტკიოდა და სხვისი სიხარულით ხარობდა.

იგი ცხოვრებაში არასოდეს თამაშობდა, ის მხოლოდ დავით გურამიშვილის ქეთევანად დარჩა, რომელმაც მთელი ცხოვრება საქართველოს სიყვარულს შეალია.

ძალიან მიჭირს დოდოს წარსულში მოხსენიება, მაგრამ ნუგეშად გვრჩება ვარსკვლავი, რომელიც მის გარდაცვალებამდე ზუსტად ერთი თვით ადრე საზეიმოდ გაიხსნა რუსთაველის პროსპექტზე, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ, ნატო ვაჩნაძისა და სხვა ღირსეული ადამიანების სახელთა გვერდით, თუმცა, როცა დოდო იბადებოდა, თურმე იმ დროს ცას ვარსკვლავი მოსწყვეტია, რომელიც დაშვებულა მიწაზე და დოდოში აკიაფებულა.

იმ დღიდან ჩვენს შორის **დადიოდა მანათობელი ვარსკვლავი,** რომლის სახელი და გვარი მიწაზე თუ ცაზე **დოდო ჭიჭინაძედ იკითხება.**

მჯერა, მისი სხივის სითბო არასოდეს მოაკლდება საქართველოსა და მის მკვიდრთ.

ასეთი იყო მარადიული ვარსკვლავი დოდო ჭიჭინაძე, ასეთად იცნობდა მას მთელი საქართველო და არა მარტო საქართველო...

ალაზა ხაიაური

დოდო ჭიჭინაძის თვალები

ტულით ტკეცლრეები, ღელრთთ დაქანელე,
თთრე ეიარეები ითვრალეიეთ,
ეიკი დაქთერქთლავეს, დაქნავლელი
დოდო ჭიჭინაძის თვალები.
ქე სთქ ქესოტბე ვარ რიტითი,
აჭარბებს, ასე დაქაბრალებენ, –
ქვეყნის სილაქაზეს იყიდის,
დოდო ჭიჭინაძის თვალები.
ბირისბირ ვერასდროს შეეცქერი,
ქექტერეეა ქესლები, ქალები,
წატლეკავს სინათლის ქეხეერი –
დოდო ჭიჭინაძის თვალები.
როკა ღაქები უკაილობენ,
ეთეარიდ არიან ქრთალები,
ოდეს ქესედავენ ეილობით,
დოდო ჭიჭინაძის თვალები.
სქალზე უბასრესად დატანჯლავენ
წაქწაქები ისრებზე ქალები,
ზღვა სინათლით არის დაქსარჯელნი,
დოდო ჭიჭინაძის თვალები.
თეი ულდ ქერტოს ნაკტერის ასრულება
არა ვარ სხვა ფიქრის ტაქლები,
ღელრთთ, ტატეიქრავლე ასულები
დოდო ჭიჭინაძის თვალებით.

კოლორიტი

რეზო ჭიჭინაძე – გამოგეთხოვა საქართველო...

მონატრება

ქართული პოეზიის ტრფიალს რომ იტყვიან – სწორედ ის იყო. თავდავიწყებით უყვარდა ხელოვნება და შესანიშნავად იცოდა ქართული პოეზია.

არაჩვეულებრივი კაცური თვისებების



გოგი ჭიჭინაძეს.

– ღმერთმა ინებოს გოგი ჭიჭინაძის დაოჯახება, თუნდაც მოვალეობის გამო, რომ მისი მომავალი შვილებით აღორძინდეს ბაბო მიქელაძის სიცოცხლე.

დიდ პიროვნებათ და დიდ მამულიშვილებს სხვათაგან განსხვავებული კიდევ ერთი სასიკეთო თვისება აქვთ; მათ გარდაცვალებაზე და დაკრძალვაზე თავს იყრის და ერთმანეთს ხვდება საქართველოს რჩეული საზოგადოება.

ჩვენ ერთად ყველა ვიყავით!..

ნათელი ღვთისა გინათებდეს სამარადისო გზას!

ნინო ჩხეიძე,
საქართველოს
სახალხო არტისტი

და მადლობა გვითქვამს: მამულიშვილობისათვის, ვაჟკაცობისათვის, სილამაზისათვის და ნიჭიერებისათვის, მეგობრობისათვის, წლების განმავლობაში დიდი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

მწერლობისათვის, საქართველოში გამომცემლობათა ხელმძღვანელობისათვის,

რუსეთის დედაქალაქის საელჩოში მშვიდობის მისიით მოღვაწეობისათვის,

რომანტიული ნადირობის ტრფიალისათვის, 5 ვაჟიშვილის გაჩენისა და მათი მამულიშვილებად აღზრდისათვის.

მრავალ ეროვნებათა ქალბატონები გეტრფოდნენ და მათ შორის მეც, მაგრამ ვინ მომიშვა შენამდე.

გემშვიდობებით! წახვედი შენს მერცხალივით ბიჭებთან – **ელიზბართან და ირაკლისთან!**..

ნათელი დაგადგეთ იმ ქვეყნად, მაგრამ რას ერჩით, რატომ ტანჯავთ თქვენს უსათნოეს, უთქმელ და მდუმარე ბაბო მიქელაძეს.

დუმილის მწუხრის ზარი რეკავს მის ულამაზეს ღრმა თვალებში.

დაუვიწყარია ჩემთვის ის წუთები, როდესაც მე, შენ დაგტიროდი და გემშვიდობებოდი ტაძარში დასვენებულს, ვიღაცის მთრთოლვარე ხელი შემეხო, მოვხედე და ჩემს გვერდით **ბაბო მიქელაძე** იდგა. ის არც ტიროდა და არც ხმას იღებდა, მაგრამ მის უტყვ, უცრემლო და სასოწარკვეთილ თვალებში იკითხებოდა უდიდესი ტანჯვა, რომ მას შორდებოდა მისი **მეუღლე რეზო ჭიჭინაძე** – მისი საყრდენი კედელი, ძალა და მრავალტანჯვათა ერთად გადამტანი.

რას ერჩოდი საქართველოს სილამაზეს, ერთადერთ დას – **დოდო ჭიჭინაძეს.**

რას ერჩოდი შენს **სამ ვაჟკაცს – რამაზს, ვასიკოს** და უნიჭიერეს

ბატონო რეზო!

ძალიან გვაკლიხართ, გვენატრება თქვენი სითბო, თქვენი ყურადღება, თქვენი სიყვარული. თვალცრემლიანი ვიგონებთ და გვენატრება ის დრო, როცა ჩვენთან იყავით. რაც დრო გადის, უფრო იგრძნობა უთქვენობა.

თქვენ სიკვდილზე ძლიერი ხართ, რადგან თქვენი ხსოვნა არასოდეს წაიშლება.

სიკვდილით არ მთავრდება ყოველივე, სიკვდილით სიცოცხლე ფასობს მხოლოდ.

არასოდეს დაგვავიწყდებით...

ეს სტრიქონები ტკივილიანი მონატრებაა.

„საქწიგნის“
კოლექტივი.

გაგრძელება მე-7 გვერდზე ⇒

ჩემი `რეზონანსი

თითქმის ნახევარი საუკუნეა, ვიცნობდი რეზოს – ჩემს მეგობარს, რომელსაც შეიძლება ვუწოდო რაინდი, რადგან შემკული იყო ყველა იმ თვისებით, რაც ასე გამოარჩევდა მას ჩვენს საზოგადოებაში.

ულამაზესი ჯიშის ვაჟკაცი, თავადვე **ხუთი ულამაზესი ვაჟკაცის მამა,** კეთილშობილი და ძლიერიც, აზარტული მონადირე და სათუთად კაცთმოყვარე, თავადურად დარდიმანდიც და ამავ დროს ნიჭიერი ჟურნალისტიც. რეზო იყო კაცი, რომლის სტუმართმოყვარე ოჯახი მოსკოვში გულითად მასპინძლობას და თანადგომას უწევდა ყველა მის თანამემამულეს. ეს იყო საოცრად ფართო წრე, ნიმუში სწორედ იმისა, როგორ შეიძლება მეგობრობდე ყველა ეროვნების ადამიანებთან და რჩებოდე ჭეშმარიტ ქართველად და თეთრ ჩოხაში გამოწყობილ რეზოს თამადობას არაფერი სჯობდა. მათ ოჯახს თვალს რომ გადაავლებდი, ვეღარ არკვევდი, ვინ ვისზე უფრო ლამაზი იყო. მართლა რომ გეამაყებოდა ქართული ჯიში!

ბაბოს და რეზოს ოჯახს ჰქონდა რაღაც ანდამატი, რომელიც ყველას აახლოვებდა და ამეგობრებდა ერთმანეთთან. მთელი მათი ცხოვრება იყო სუფთა და გამჭირვალე ყველას თვალწინ. წამოხვიდოდი და გიტოვებდა ფიქრს, – საიდან ამდენი სიკეთე?

შემთხვევით არაფერი ხდება. აქ ბაბო მიქელაძის – მისი მშვენიერი მეუღლის დიდი ოჯახიშვილობაც იდგა საძირკვლად. ბევრი რამ შეიძლება ითქვას ამ საარაკო თაობაზე, რომელმაც თავის ირგვლივ მხოლოდ საუკეთესო ტრადიციები და სიყვარული თესა.

ამ ლაღ, და ყველასათვის ძვირფას ოჯახს განგებამ (ალბათ სრულყოფისათვის) დიდი სევდაც არგუნა ცხოვრებაში. მაგრამ ისინი ყოველთვის რჩებოდნენ ღირსეულებად, არასოდეს მოახვევდნენ სხვას თავის წარმოუდგენელ გულის ტკივილს, პირიქით უმსუბუქებდნენ კიდეც ურთიერთობას. მსგავს სიკეთეს, რაც



რეზო ჭიჭინაძეს.

ვერცა ვე თვალმა ვერ ტატოვალა,
ეზის ეზე ტეჯდა უბეში.
სევდიანო და მართალო,
ეყვე ქმათა ნუტეში.
ძე რაინდის, ტულმსედარო,
ურწმუნოთთან ვერ ქმობდი,
შენიე რჯულის შემსედვარე,
ურჯულოებს ებრძოდი.
თესვას ვინცა ვერ ეუფლება,
ვერცა ვერასდროს მოეკიდეს,
ამას, მე შენ ტეუბნები,
შენი სელისმოქიდე.
ტქულდა ბოროტტანეზრასველი,
ტწამდა კაცის კეთილის,
ტაიღიე და წასველი, –
ალბათ, ტქონდა შეთვლილი.

შენი ჯანსული

2008 წლის 12 ოქტომბერი.

მათ გაიღეს, უფრო ზღაპრებში თუ შეხვდებით, ვიდრე ცხოვრებაში

მე მას სიყვარულით „რეზონანსს“ ვეძახდი და ამაში აზრიც იყო, – ის ხომ ყველას გვეხმიანებოდა თავისი დიდი გულით, მაგრამ „რეზონანსი“ გრძელდება მის შესანიშნავ მემკვიდრეებში. ჩვენი **საამაყო გოგი ხომ დღეს უკვე გამორჩეული დირიჟორი და პიროვნებაა.**

ჩემო რეზო განისვენე მშვიდად. – გვიმრავლოს შენისთანები.

ბიძინა კვერნაძე.

ყვარელი, სახლი სადაც დაიბადა ილია ჭავჭავაძე

ROობორი სუფთა, ROობორი მართალი; გაბზარულიც და გაუბზარავი... – ბატონი რეზო ჭიჭინაძე

როგორც კეთილბედად, ასევე ღვთის წყალობად ვთვლიდი თქვენთან სიახლოვეს ბატონო რეზო და რა თავზარდამცემი იყო ჩემთვის თქვენი გარდაცვალება, რომელიც ჩემდა სამწუხაროდ, მოგვიანებით შევიტყვე.

თქვენი უმთავრესი ღვაწლი და სულის სიწმინდე ქართველობისა და სიყვარული ადამიანთა მიმართ, უზადო პატიოსნება, უანგარო თანადგომა და თანდაყოლილი ვაჟკაცობა, უფლისგან გქვონდათ ბოძებული მთლიანად თქვენს სულხორციანად ულამაზეს ოჯახს და საგვარეულოს.

კეთილბედად მოვლენილი

სწორედ რომ თქვენ და თქვენისთანა მამულიშვილებმა მოგვიტანეს დღევანდელი საქართველო.

არ დამავიწყდება თქვენი თანადგომა მეგობრისადმი, თქვენსავით დიდი ქართველის, **თიანეთის დიადემის – ალაზა ხაიაურის მიმართ**.

იქ გაგიცანით, ბედკრული ჩემი დიდი მეგობრის და პოეტის თავზარდამცემ დაკრძალვის დღეს. შემდეგ თბილისში დაბრუნებისას, ჩვენი იქიდან გამომგზავრება და დაუვიწყარი საუბარი, დაუვიწყარი წუთები, ალაზა ხაიაურზე შექმნილი ფილმის თაოსანიც ხომ თქვენ ბრძანდებოდით.

ბატონო რეზო!... ისე განვლეთ გასავლელი წუთისოფელი, რომ თქვენი ცხოვრების უმძიმესი ხვედრის მიუხედავად, არ გვაგრძნობინეთ ვერაფრით მოურჩენელი უმძიმესი ტკივილი.

გულისტკივილის გასაქარვებლად მარადიულ სახსოვრად დამრჩა თქვენგან, თქვენი ავადმყოფობის პერიოდში, ძლივს დამოურჩილებული ხელით ჩაწერილი საამაყო და გაუხუნარი სტრიქონები, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით!

იზა ჯაჭვაძე.

რა ცოტანიღა დამრჩით უფროსი მეგობრებიდან, **ბატონო რეზო,** თქვენი ამა-ქვეყნიდან იმქვეყნად გარდაცვალებით...

და, ჩემდა როგორ კეთილბედად, კვლავ ღვთის წყალობით, მხოლოდ მწუხარებად კი არა, ახლაც, ყველანი, როგორ ნუგეშად, გამამხნევებლად მყავხართ, რადგან ახლაც, ყოველი გასაჭირისას, თუ ძნელი არჩევანისას – როგორ მოვიქცე? ისევე, როგორც ადრე გეკითხებოდით, როგორ მოვქცეულიყავ, თქვენგან მოველი და გეკითხებით რჩევას, ბატონო რეზო, თქვენ და როგორ მართლაცდა დიდბატონებს: **რეზო თაბუკაშვილს, ნიკო ჭავჭავაძეს, გურამ ასათიანს, რომან მიმინოშვილს, ოთარ ნოდიას,** რადგან, მათი და თქვენი უმთავრესი ღვაწლი და უბიწოება სამშობლოსა და ქართველებისა და ქართველობის განცდა და სიყვარული, ადამიანთა მიმართ ყოვლად უზადო პატიოსნება, სისუფთავე, და უანგარო თანადგომა, და თანდაყოლილი, ანუ უუმაღლეს ზენაარნთაგან ბოძებული ვაჟკაცობა და შემართვა გახლდათ.

თქვენ, და „თქვენისთანებს“ როგორ გაკადრებთ, სამშობლოს როგორც ყოველი ღირსეული შვილი, ყველანი – თქვენ როგორი მთლიანნი, ერთიანნი და ამავე დროს განუმეორებელი, თავისთავადი ბრძანდებოდით – მეპატიოს – ხართ; ეს თქვენ და ჩვენი მამულის მართლაცდა მამულიშვილებმა მოგვიტანეს ის საქართველო, რომელშიაც რომ დღესაც ქართულად ვლაპარაკობთ, ქართულად ვმღერით ჩვენს სიმღერებს და ჩვენსას ვცეკვავთ, აბა ის ჭრელაჭრელა, მითომც – გამაკულტურებელი ჭყეტელა აბრები თუ პლაკატ-ლოზუნგები, თუმცა, ნამდვილად კია თვალში ავადსაცემი, მაგრამ მაინც განა რა ჩასათვლელია, ეს იწილო-ბიწილოები კი არა, სვასტიკიანი და ნამგალ-ჩაქუჩიანი დროშებიც ჩამოუგდიათ, თუნდ ურთიერთმტრობით

თქვენ კი, მე – თქვენი როგორი გაბადრული დამფასებელი, ღრმად პატივისმცემელი, რომ შემოგცქეროდით, ვიცოდი, მწამდა რომ, – ამ შემთხვევაში ადგილიანია ეს სიტყვა – თქვენისთანებმა რომ მოგვიტანეს სამშობლო, მაგ – თქვენისთანა ქუდზე კაცებმა რომ შეგვინარჩუნეს მუდამმტრიანი საქართველო, რომ თქვენისთანა მუყაითებს ოღონდ ეშრომათ: ებარათ, ეხნათ, დაეწურათ, ეშენებინათ, თავისიანებში ეხარათ და ხალხური ლექსები ეთქვათ და – რა უნდოდათ სხვა, მაგრამ, როცა შორეული მთა აკვამლდებოდა, ბარისა და ცელის ნაცვლად ხმლის ვადასა და შუბის ტარს ბღუჯავდით რა, გუთნის და ჯაფით მიყოლის ნაცვლად, თქვენ საქართველოს დროშას მისდევდით!

ბატონო რეზო, მე მინახიხართ ლხინში – როგორი ლხინით მომლხენი და, ორჯერ კი, – თავზარდაცემული რომ... რა ცოტასიტყვაა, ისეთი...

ვიცი თვით ამ გაბზარვისაც უფსკერო ნაპრალები, მაგრამ თქვენ, თქვენი მეუღლისათვის, თქვენი სამი დარჩენილი ვაჟისათვის, თქვენი ახლობლებისა და ირგვლივმყოფთათვის თქვენი ეს არავისათვის თავსმოსახვევი უუმძიმესი ხვედრ-სატკივარით როგორი დარჩით – კვლავ განუზომლად კეთილისმყოფელმა. ამ – მადლცხებულად გაუბზარავმა განვლეთ თქვენი ამქვეყნად დარჩენილი სიცოცხლე

აურაცხელი გვარი ძალიან მიყვარს საქართველოში, ზოგიერთი კი – რა ვქნა და, უფრო... ხოლო თქვენი გვარი კი მეტადაც ფრიად უხინჯოა, ძნელად ისეთი გვარი, თითო-ოროლა იმ გვარისშვილი რომ არ არცხვენდეს, ხოლო არ შემხვედრია მე ჭიჭინაძე, სათნოებით და სილამაზით, თუ სიკეთითა და ვაჟკაცობით რომ არ გამოსჭვიოდა; თქვენი ოჯახი აგერ: თქვენი ერთადერთი დედმამიშვილი, თქვენი გვარის და მართლაც სრულიად საქართველოს მშვენება, ქალბატონი **დოდო ჭიჭინაძე, თქვენი ხუთივე ვაჟი, თქვენი ბიძაშვილი ქალბატონი თინათინ ჭიჭინაძე – გურამ ასათიანის,** თავისი ერთადერთი როგორი შვილის როგორი დედა; თქვენი მეუღლე – უსათნოესი ქალბატონი **ბაბო მიქელაძე,** მთელი თქვენი ნათესაობა ძმები **ანდრო და თემურ ჭიჭინაძეებით გამშვენიერებული.**

და თქვენი მეგობრები, როგორ მკაფიოდ გამორჩეული ხალხი და სუყველასთან, ყველასთან ერთად თქვენს ასეთ უფსკერო ღრმა მწუხარებას ვიზიარებ

და, თან გილოცავთ, რომ ასეთი მამა, მეუღლე, ძმა, ნეთესავი და მეგობარი ჯერ ერთი რომ, – გყავდათ,

და,

რაც მთავარია, იმას გილოცავთ, რომ, –

მისი კაცობით, –

გვყავს!..

გურამ დოჩანაშვილი.

სოფელ უჯარმასთან ახლოს, მდინარე ივრის მარჯვენა მხარეს, მაღალ კლდოვან ბორცვზე, აღმართულია ძველი ციხე-სიმაგრე, რომელიც III საუკუნის დასასრულსა და IV საუკუნის დასაწყისში პირვანდელი სახით ააშენა ქართლის მეფე ასფარუგმა. „შემდგომად მირდატისა მეფობდა ძე მისი ასფარუგ და აღაშენნა ციხე-ქალაქი უჯარმა“, — ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“.

IV საუკუნეში რევის მეფობის დროს უჯარმა უკვე მცხეთის გვერდით იხსენიება. მირიან მეფემ „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთე და დასუა იგი უჯარმას რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისი და ცხოვნდებოდეს იგინი უჯარმას“.

ხეობას მიაყენა უდიდესი ზარალი: გაწყვიტა მოსახლეობა და ააოხრა უჯარმა და ბოჭორმა.

XII საუკუნეში უჯარმის ციხე კვლავ აღადგინა გიორგი III-მ და შიგ თავისი განძთსაცავი ააგო.

ერთ დროს ჩოლოყაშვილებსაც ეკავათ ეს ციხე-სიმაგრე. აქ უმკლავდებოდა ერეკლე II ოსმალებს.

ივრის ხეობას ძნელბედობა დაუდგა XIV–XVIII საუკუნეში, როდესაც ჯერ თემურ-ლენგმა, შემდეგ შაჰ-აბასის სისხლიანმა შემოსევებმა მიწის პირისაგან აღგავეს ივრისპირეთის ქართული დაბა-სოფლები. ამასთან დაერთო „ლეკიანობაც“.

ოდესღაც სტრატეგიული ციხე-სიმაგრეები: არტანი, ჟალეთი, ბოჭორმა და უჯარმა ერთი ჯაჭვი იყო. მათი დანიშნულება იყო — არ შემოეშვა მტერი ამ ხეობაში და დამპყრობლის შემოსვლა ეცნობებინათ ერთმანეთისთვის. ამ გმირული ისტორიის გამო უჯარმის ციხე მრავალი ქართველი მწერლისა და პოეტის შთაგონების წყარო გახდა. მის შესახებ

უჯარმის ციხე ქართულ პოეზიასა და ფოლკლორში

ქართლის გაქრისტიანების დროს, IV საუკუნეში, უჯარმა უკვე ქალაქია. მემატიანე წერს: „მაშინ უბრძანა ნეტარმან ნინო: — წარიხვენით ორნი ჯვარნი და ერთი მიეც სალომეს, მხევალსა ქრისტესსა და აღმართოს უჯარმას ქალაქსა.“

17 საუკუნეა, ამ ციხე-სიმაგრესა და ადგილს ჯვარპატიოსანი ჰქვია.

V საუკუნეში კი „თუით ვახტანგ დაჯდა უჯარმას და აღაშენნა იგი ნაშენებითა უზომოთა“ („ცხოვრება მეფეთა“) სწორედ

გორგასლის მიერ აშენებული ციხე-ქალაქის არქიტექტურული კომპლექსია შემორჩენილი ამჟამად, რომელიც 1500 წელზე მეტია დგას, როგორც ცოცხალი მოწმე „ქართლის ცხოვრებისა“.

გორგასლის ისტორიკოსის, ჯუანშერის ცნობით, ვახტანგის იერუსალიმში დროებით გამგზავრების წინ, ერისთავებს აღსაზრდელად უტოვებს დაჩის. „ და ამათ შეჰვედრა ძე თვისი დაჩი და უბრძანა აღშენება უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა“. სამეფოდ უჯარმაში აღზრდის გამო შეერქვა დაჩის უჯარმელი.

VI-VII საუკენეებში უჯარმა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქია.

X საუკუნში უჯარმა მხოლოდ ციხედ იხსენიება და არაბთა სარდლის აბულ-ყასიმისაგან იცავს ქართველობას, მაგრამ აბულ-ყასიმმა საქართველოში უკანასკნელი ლაშქრობის დროს, 914 წელს, სწორედ ივრის

თქმულებები და ხალხური ლექსები თაობიდან თაობას გადაეცა და ჩვენამდე მოაღწია, ავტორები კი, როგორც ხალხურ პოეზიას სჩვევია, არსად ჩანან.

ქართულ პოეზიაში უჯარმის ციხე მოხსენიებული აქვს პოეტებს: **გიორგი ლეონიძეს, მუხრან მაჭავარიანს, ნუგზარ ჭანტურიას, ნოდარ დიღმელაშვილს.**

ბ-ნ მუხრან მაჭავარიანს აქვს შესანიშნავი პოემა „ვახტანგი“, რომელიც ბუმბერაზ მეფეს — გორგასალს ეძღვნება. ამ პოემის ერთ-ერთი თავის ქვესათაურია: „უჯარმით კაცი აფრინეს“, იგი ასე იწყება:

„ხელმწიფეს წყლულზე რაღაცა
დაადვეს ჰაიჰარად.
უჯარმით კაცი აფრინეს:
— დოსტოქარიო, ჩქარა!
. . . . . .
უძრავად იწვა ვახტანგი,
დავხედე, ვეღარ ვიცანი.
კითხვაზე: —
არის იმედი?
პასუხი: —
არავითარი!“

გმირ წინაპართა სისხლით მორწყული უჯარმის მიწა-წყალი და ციხე-სიმაგრე ძალიან ჰყვარებია ჩვენს თანამემამულე პოეტს — გიორგი ლეონიძეს. მისი „უჯარმის ნანგრევები“ არაერთმა ქართველმა იცის ზეპირად. გოგლასთვის ივრისპირეთის ისტორიაა სიმდიდრე. მშობლიური ივრის ბროლის ნამსხვრევებადქცეული შხეფებია ოქროცა და ვერცხლიც. იორგაღმა — უჯარმის ციხე, გამოღმა — მისი მშობლიური პატარძეული.

„ქვაკუთხედი ლოდები
ნამტვრევები ნანგრევები,
აქ ცხოვრობდნენ ოდესღაც
მორკინალი დევები.
ქვად ხმარობდნენ ზურგის ძვალს,
სისხლს — საძირკვლის წებოდა,
მათი ხმალის ნაკრავით
რაზმი ილეწებოდა.
თუმცა სვამდნენ ჩარებით,
ჰქონდათ რკინის წვივები, —
აწუხებდათ მოწყენა,
ტალახი და წვიმები.
დარჩათ ტყე და სიჩუმე,
ხეზე მღერის შროშანი
ხის ქვეშ დამიწებულან
ლაშქარნი და დროშანი.“

საგარეჯოში ცხოვრობდა პოეტი ნუგზარ ჭანტურია. იგი სპეციალობით ისტორიკოსი იყო და დიდხანს მუშაობდა რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. ის უზომოდ იყო შეყვარებული მშობლიურ მიწა-წყალზე. დაწერილი აქვს უამრავი პატრიოტული ლექსი და გამოცემული პოეტური კრებული — „მე სისხლიანი ვმოვე ბალახი.“ ერთ-ერთი ლექსია „უჯარმის ციხის ნათქვამი“, რომლითაც პოეტი კიდევ ერთხელ იხსენებს ჩვენს გმირულ წარსულს, ვახტანგის ციხე-ქალაქის „ენით“ საუბრობს და წინა საუკუნეებში გვამოგზაურებს:

„მახსოვს სიმტკიცე მქონდა რვალისა,
სად არ სწვეოდა ჩემი სახელი,
დიდება ვიყავ გორგასალისა,
სიმაგრე ვიყავ მთელი კახეთის!
გარს მეხვეოდნენ ბურჯად კლდეები,
ვიდექ ღრუბლებში გადანახატი, —
დიდება ვიყავ თავად ვახტანგის!
ვერ მაშინებდა მტერთა სიმრავლე,
მომხვდურმა ვერა და ვერ დამძლია:
მაგრამ გაფრენილ წელთა სიავემ
გადავიწყების ნისლში მარწია!
  და ვდგავარ კედლებშემოძარცვული,
თუმცა სიმტკიცე მქონდა რვალისა.
არ დაივიწყა ხალხმა წარსული
და არც გმირობა გორგასალისა “

უჯარმის ციხე და მისი ბებერი მრავალ ომგადანახადი მიწა სალოცავი ხატია აწგარდაცვლილი გარეჯელი ახალგაზრდა პოეტის ნოდარ დიღმელაშვილის შემოქმედებაშიც. იგი აღტაცებაში მოჰყავს ჯვარპატიოსანთან უქრობელ ძველ ცეცხლს, თაყვანს სცემს გორგასალს და სჯერა, რომ ყოველ ალიონზე ცის ცხრა კარის გახსნისას ყოფილ ციხე-ქალაქთან ვახტანგის ჩრდილი ეცემა.

„მიმწუხრისჟამს მაყვლიანში
შაშვი, შავი ფრთოსანი,
ლოცულობს და ლოცვას ისმენს
ჯვარი პატიოსანი.
ხეებს ბინდა მოხვევია,
ტყვიისფერი მანტია,
უჯარმასთან უქრობელი
ძველი ცეცხლი ანთია.
. . . . . .

ალიონზე განიხვნება
კარნი ცხრავე ცისანი
და ციხესთან დაეცემა
ჩრდილი ვახტანგისანი.“
(„უჯარმაში“)

ნოდარ დიღმელაშვილს იმდენად უყვარს ვახტანგ გორგასალი და უჯარმის ციხე, რომ ოცნებებში ხედავს, როგორ გატეხა ქარმა ღამის სიჩუმე, ივრისპირს როგორ ტორავს მეფის ქურანა ცხენი და როგორ ემზადება ვახტანგი მეორე დღისთვის საომრად. ივრისპირას გაშლილ სუფრას თამადობს სპარსელთა რისხვა და ელოდება ალიონს, რომ ქართლში შემოსულ მტერს დედა უტიროს.

„ აღარ ისურვა მეფემ სასახლე
და ივრის პირას გაშალეს სუფრა.
უზის მთაკაცი სუფრას თამამად,
აცეკვებულა ბახუსის ბანგი,
ხელგაშლილ ქეიფს გახსნია მადა,
მამულსა ლოცავს მეფე ვახტანგი.
მისთვის დაცემულ ვაჟკაცთა ხსოვნის
ჩამოათავა თასი უძირო,
ხვალ წავა მეფე, იწყება ომი,
წავა, რომ სპარსებს დედა უტიროს.
. . . . . .

თუმდაც იორი ღვინოდ მოვარდეს,
იქნება მეფემ ისიც დალიოს,
მუშტმოღერილი აგინებს სპარსებს
და ელოდება ცაზე ალიონს“.
(„ლხინი უჯარმის ციხესთან“)

უჯარმის ციხეზე თქმული ლექსები გვხვდება ქართულ ხალხურ პოეზიაშიც. საქართველოს ისტორიის კარგად მცოდნე ერთი ჭკვიანი კაცი შეჩერებულა გორგასლის აშენებულ გალავნიან ციხესთან და გმირი მეფის სიყვარულს ეს ლექსი უთქმევინებია მისთვის:

„პირდაპირ შამავხედევდი
ციხის გალავნის პირსაო,
ნეფე ყოფილას გორგასლან,
მშვილდ უჭეხებავ გმირსაო.“

ლექსი აშკარად გვიანდელია, მაგრამ ამ ჭკვიანი მთიელის მელექსის გვარ-სახელი ჩვენთვის, სამწუხაროდ, უცნობია, კუთხურობის მიხედვით კი ხევსური ჩანს.

ერეკლე II-ის მეფობის დროსაც, როგორც ადრე საუკუნეებში, ხშირი იყო ოსმალთა შემოსევები. ამ დროს ქართველთა ჯარის საბრძოლო არსენალის შემადგენლობაში უკვე იყო თოფი და ზარბაზანი. უჯარმის ბოლოს გამართულ

გაგრძელება მე-9 გვერდზე ⇒

უჯარმის ციხე ქართულ პოეზიასა და ფოლკლორში

ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებით გახარებულ მელექსეს აღტაცება ასე გამოუხატავს:

„უჯარმის ბოლოს შეიბნენ,
შეიძრა მთა და ბარია,
თოფი სჭექს, ზარბაზანი ქუხს,
სისხლისა მოსჩქეფს ღვარია,
ხმლები ელავენ ჰაერზე,
მტრებს მისთიბთ ქართველთ ჯარია “

ვერც ამ ლექსის მთქმელის გვარ-სახელმა მოაღწია ჩვენამდის, მაგრამ ფოლკლორში მაინც შევიდა, ხალხური ეწოდა და დავიწყებას გადაურჩა.

სულ ახლახან, ახალგაზრდა სახალხო მთქმელის მალხაზ წიკლაურის ლექსებსა და კაფიებს ვკითხულობდი. იქ წავაწყდი უჯარმის ციხისადმი მიძღვნილ კაფიას, რომელიც ძალიან მომეწონა:

ივრის ხეობის გვირგვინო,
შემკულო უფლის ძალითა,
ამაყობ, უჯარმის ციხევ,
დღესაც ვახტანგის ხმალითა.
ჟამთა სვლამ ვერა დაგაკლო,
ნაგებო ქვითა სალითა,
თუმც მტრისგან ბევრჯერ ყოფილხარ,
დამწვარი ცეცხლის ალითა.
იდიდოს შენმა სახელმა,
იყავი უფლის ძალითა,
შენი მტერი და მოშურნე
დაბრმავდეს ორთავ თვალითა!

ავტორი ივრისპირა სოფლის გორანის მკვიდრია, გორგასლის ყოფილ ციხე-ქალაქთან ახლოს ცხოვრობს და, რა საკვირველია, თუ მისთვის ეს ბებერი ციხე კაფიის შთაგონების წყარო გამხდარა.

მჯერა, უამრავი ხალხური ლექსი შეიქმნებოდა უჯარმის ციხეზე, მაგრამ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

დღეს ისევ ამაყად დგას გორგასლის აშენებული ციხე-ქალაქი თავისი კოშკებით, შიდა ეკლესიითა და ივრისპირამდე გაჭიმული ქვით აშენებული განიერი, მაღალი და მყარი გალავნით.

აქ, ექსკურსიაზე მოდიან მოსწავლეები საქართველოს ამერ-იმერიდან. ყოველი წლის 20 მაისს კი რელიგიური, საუკუნეების განმავლობაში ტრადიციადქცეული დღესასწაული, ჯვარპატიოსნობა იმართება. მოდიან მომლოცველები სანთლებით, ქადებით, საკლავებით რადგან უყვართ, სჯერათ, სწამთ ჯვარი პატიოსნის ძალისა და მადლისა.

გიორგი მახარაძე,
მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით რაიონულ კონფერენციაში გამარჯვებული, 64-ე რესპუბლიკური კონფერენციის კონკურსანტი.
საგარეჯოს შპს „თამარ გარეჯელის სახელობის ეროვნული“ სკოლის VII კლასელი.

ხსოვნა

ეთერ ჩოკოლაშვილი–აბრამიშვილი სოფელ ბოდავიდან იყო გამოთხოვილი ჩვენთან, თიანეთის სოფელ ახალსოფელში. იგი ძალზე გულისხმიერი ადამიანი იყო და მოხუცებულობამდე სულ სიკეთეს ასხივებდა.

იმის მიუხედავად, რომ ასაკოვანი გახლდათ – ოთხმოც წელს მიტანებული, ძალიან დაგვწყვიტა გული მისმა გარდაცვალებამ, იგი ახლახანს მივაბარეთ თიანეთის მიწას.

ეთერი ბებო მეზობლად ცხოვრობდა და დიდ სიყვარულს იჩენდა ხოლმე ჩემს მიმართ. ამაგდარ დედას და ბებოს ცხრა შვილი ჰყავდა და ცხრამეტი შვილიშვილი. მე კი მეოცე შვილიშვილად მთვლიდა და ოჯახის წევრად მივაჩნდი.

ეთერი ბებო! მეც ძალიან დამწყვიტეთ გული... თქვენ ხომ სათნოებით და განსაკუთრებული სიკეთით გამოირჩეოდით. ხშირად გიხსენებთ, გვენატრება თქვენი მუდამ მომღიმარი სახე და კეთილი გული. ჩვენს გულებში მუდამ იცოცხლებთ. დასაფასებელია და გაუხუნარი თქვენი ცხოვრების ყოველი წუთი.

მშვიდად იძინეთ ჩვენო საყვარელო, ნაჯაფარო და ამაგდარო ბებო!..

ქართლოს რიგიშვილი.

„ყმა სოფლის სულ-ღებული ჯობ“

„ბარელ“ ხევსურზე მინდა, მოგითხრობთ, დუშელ ღვთისო ლიქოკელზე, – **გიგიათ ღვთისოზე.**

ბარში კი ცხოვრობს ღვთისო, ქალაქ დუშეთში, მაგრამ ბევრ მთაში მცხოვრებ ხევსურს მოუცდების მასთან. რაა და რატომ?

იმად რომ ჯიშიან-ჯილაგიანი კაცია ღვთისო: სიტყვითაც, საქმითაც, საქციელითაც, იერითაც და ზნე-კეთილობითაც, კაცობითაც და ვაჟკაცობითაც.

მოცეკვავე ღვთისოს სახელითაც იცნობენ მას დუშელები. სპეციალობით ქორეოგრაფია, მოცეკვავეთა მრავალი თაობის აღმზრდელი, საუკეთესო თამადა, ლექსის მთქმელი და დამფასებელი, ძარღვიანი სიტყვის მეხოტბე, მტერ-მოყვრის დამხვდომ-გამძღოლი.

ვაჭარბებ?

სრულიადაც არა!

ჰკითხეთ დუშელებს, ვინ არის ღვთისო ლიქოკელი და მერე, რაც გინდათ, ის მითხარით...

უყურებ ღვთისოს და გიხარია, რომ ეს კაცი ჰყავს ხევსურეთს, დუშეთს, სრულიად საქართველოს. სწორედ ამისთანა კაცები ჰქმნიან ისტორიას „კა კაცობისას“. სოფელ-ქვეყნისთვის სამსახურისას მისთვის „სულღებულობის“ ისტორიას. გარდა ამისა, ღვთისო კარგი ხელოვანია, ამავდროს ხელოსანიც არის (ხუროა), ძლიერი მთიბელიც და მიწისა და მესაქონლეობის „მაცოდარი“.

ახლა ძველ ამბებს, ანდრეზებს, ხევსურულ ადათებსა და თავმეთავეობას (მტრობა-შერიგება) არ იკითხავთ?

ბოლო დროს ღვთისომ კიდევ ერთი საღვთო საქმე დაივალა – იგი ხევისბერია ფშავ-ხევსურეთისა, მთიულეთ-გუდამაყრისა, საზოგადოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთისა. მისი ლოცვა და დალოცვა უბრალო რიტუალი არ გახლავთ. ეს არის ლოცვა მამულზე შეყვარებულლი მოამაგისა, ვისთვისაც სულერთი არ არის, ვინ როგორი იქნება, ვინ როგორ მოიქცევა, ვინ რას გააკეთებს ან დააშავებს... მისი მარჯვენა გვეიმედება, მისი სიკეთე ისევ ძველებურად ეჩქერება სხვათათვის, თუმცაკი, მისთვის სხვა არ არსებოს – სულ ყველა მისი და მისიანია. ვინაც მას არ იცნობთ, მიდით მასთან, გაიცანით, დაისაგძლეთ მისი ნაუბარიდან მცირედი – დიდხანს გაგყვებათ თან, გამოგადგებათ მთაში თუ ბარში, გაგახსენდებათ დალხინებაში თუ გაჭირვებაში... და მოგენატრებათ ისევ ღვთისოსთან ლაპარაკი, რადგან **ღვთისო ქათული სულია, ღვთისო შემოქმედია, და... ღვთისო ღვთისოა...**

მორჩა და გათათავდა.

გოგი ჭინჭარაული

ზაზა სირბილაძე და ემზარ ფანოზიშვილი

ადამიანი უფალმა შექმნა სახედ და ხატად... ზოგს ნიჭი მისცა, ზოგს – სიკეთის ქმნის უნარი, ვიღაცას სილამაზე, ვიღაცას – ვაჟკაცობისა და კაცურ კაცობის გვირგვინის ტარება...

ეს ყველაფერი კი ერთბაშად აჩუქა აზრთა გამრიგემ სართიჭალელ **ზაზა სირბილაძეს** და საგარეჯოელ **ემზარ ფანოზიშვილს**. უახლოესი მეგობრები სითბოთი, სიყვარულით, სიკეთით სავსეები, დიდი მუსიკალური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი. ბევრ მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავდნენ და მღეროდნენ. მსმენელი აღფრთოვანებაში მოჰყავდათ. მათი ხანმოკლე სიცოცხლე ლამაზი სიმღერა იყო.

„ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული“, ადამიანის სიცოცხლესაც, მაგრამ მისი საზომი შინაარსიანად განვლილი ცხოვრებაა. ზაზა და ემზარი რჩეულები იყვნენ. არ მოიძებნება ადამიანი მათზე ნაწყენი. სულ ფუსფუსებდნენ, უხაროდათ სიკეთის კეთება, მეგობრებისთვის გვერდში დგომა, უკანასკნელ ლუკმას უყოფდნენ მოყვასს. უყვარდათ სიცოცხლე, მაგრამ ავბედითი აღმოჩნდა წლევანდელი შობის დღე მათთვის: თბილისში, სამუშაოდან მომავლები, დაღლილ-დაქანცულები, ერთმა საჭის უცოდინარმა, შემხვედრმა, უგვანმა გამოასალმა წუთისოფელს.

ზაზა ჯერ უცოლშვილო იყო. სახლში დედა ძმა და მისი ცოლ-შვილი ელოდებოდნენ. ემზარს – დედა და ცოლ-შვილი, მაგრამ...

ეს ლამაზი ბიჭები ახლა უკვე სულეთში არიან, იქიდან გვიმზერენ და გვათბობენ თავიანთი კეთილი გულებით. მათმა იმქვეყნად წასვლამ მტკივნეული სიცარიელე დაგვიტოვა.

ბევრჯერ მოგვენატრება, ბიჭებო, თქვენი ღიმილი, გვერდში დგომა, საოცრად ლამაზი ხმები... მაგრამ, ვაი, რომ ვეღარ გნახავთ...

წლეულს, აღდგომის პირველ დღესასწაულს შევხვდით უთქვენოდ, თქვენს საფლავებზე!

ნათელი დაგადგეთ!

მეგობრების სახელით
მალხაზ წიკლაური

ბოლო გვერდი

„ღმერთო, მამულის მცველად მამხედრე!“

1995 წელს ქალაქ საგარეჯოში დაარსდა შპს „თამარ გარეჯელის“ სახელობის არასახელმწიფო საერო სკოლა. მისი დამფუძნებლები არიან საქართველოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ყოფილი მთავარი სპეციალისტი ზაქრო ლომსიანიძე (მისი გარდაცვალების შემდეგ მეუღლე, საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის პედაგოგი თამარ სტეფანიშვილი), რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე თამარ საგინაშვილი და საბავშვო ბაღის ყოფილი გამგე, ამჟამად ამავე ბაღის ლოგოპედი თამარ გოცირიძე.

სკოლა დაფუძნდა ზემოხსენებული ბაღის ბაზაზე და თავიდანვე დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური კადრებით. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა, დიდი ყურადღება ექცევა უცხო ენებისა და კომპიუტერის შესწავლას, კლასგარეშე მუშაობას. სკოლაში ეწყობა ინტერაქტიული და ინტეგრირებული გაკვეთილები. აქ გამართული ღონისძიებები ემსახურება მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას. ასევე დიდი ყურადღება ექცევა მშობლიური კუთხის ისტორიისა და გამოჩენილ თანამემამულეთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას.

ბღლღ რიგში შუაში დგას გიგლა ჭინჭარაული

სკოლის დაარსების დღიდან უამრავი ცნობილი ადამიანი ეწვია ცოდნის ამ ტაძარს. ასე იყო შარშანაც: აქ გაიმართა ცნობილი მხატვრის ნინო ჯანგულაშვილის ნამუშევრების გამოფენა და ასევე მამამისის, ცნობილი გარეჯელი პოეტის თეიმურაზ ჯანგულაშვილის ხსოვნის საღამო, რომელიც საკუთარი პოეზიით დაამშვენა პოეტმა **თემურ ჩალაბაშვილმა.**

სულ ახლახან სკოლის დირექტორის თამარ საგინაშვილის თაოსნობით გაიმართა ერთ-ერთი მოსწავლის მშობლის, პოეტი გიგლა ჭინჭარაულის შემოქმედებითი საღამო. სტუმართა შორის იყვნენ: პოეტი, პუბლიცისტი, გაზეთ „კავკასიის“ მთავარი რედაქტორი იზა ჯაჭვაძე; საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი, პოეტი მარინე თექთუმანიძე და პოეტი, ჯუმბერ გოგრიჭიანი.

გიგლა ჭინჭარაული საგარეჯოს რ-ნის სოფ. ვერონაში დაიბადა. იგი მოლექსე-მოკაფიავე ხალხის შვილია, იმ ხალხის, ვისთვისაც ლექსი სიცოცხლისათვის ისეთივე აუცილებელი რამ არის, როგორც წყალი, პური და ჰაერი. გიგლამ ლექსების წერა ადრე დაიწყო. თითქმის სამი ათეული წელია, მისი ლექსები იბეჭდება რაიონულსა თუ რესპუბლიკურ პრესაში და მისი ლექსები შესულია წიგნში „გომბორელი მოლექსეები,“ ასევე ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის ზეპირსიტყვიერების ლაურიატების 2005-2006 წლების გამოცემაში „კახეთი“. იგი გახლავთ 2000 წელს ფილარმონიაში გამართული ფოლკლორული საღამოს მონაწილე.

გიგლა ჭინჭარაულის შემოქმედების თემატიკა ძალიან მდიდარია, იგი მხატვრული ოსტატობით ქარგავს სტრიქონებს, საოცარია ხატოვანი აზროვნების დონე, ავტორის მაღალი პოეტური გემოვნება. მისი პოეზია გაჟღენთილია საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უსაზღვრო სიყვარულით:

„ღმერთო, მამულის მცველად მამხედრე,
ვიდრე თვალებში მზე ჩამიქრება,
როცა ყვავილი ასე გვამხნევებს,
მთელი სამშობლო რაღა იქნება?!“

პოეტი სიყვარულის მძიმე ხუნდებით საქართველოზეა მიჯაჭვული და ამას ვაჟა-ფშაველას და მის მინდიას „აბრალებს“; გიგლასთვის ძნელია გველისმჭამელობა:

„ფეხს რომ ვარიდებ ყვავილებს,
ვაჟავ, სულ შენი ბრალია,
შენს შემდეგ მესაუბრება
კაცივით მთა და ბარია“.

გიგლამ მშვენივრად იცის, რომ „კარგი ვაჟკაცის ჯილდოა მისივე ნამოქმედარი“ და ამიტომ ამბობს:

„უქმად ნახარჯი სიცოცხლე
არ დაბადების ტოლია,
ზოგი ერთხელაც ვერ ცხოვრობს,
ზოგის ცხოვრება ორია,
სიცოცხლე სამუდამოდ კი
ყველაზე უფრო სწორია.“

განსაკუთრებულად ღამაზია ავტორის სატრფიალო პოეზია. **„ძაღლის ყეფაც კი მამწონდა, შენ სოფლით ამამდინარი “**

იყო შემოხვედრა,
თბილი შემოხედვა,
შემდეგ გარინდება
თვალის არიდება.
ძველის გახსენება
ტკბილად გვარიგებდა,
გული ვერ შევცვალეთ,
დუმილს არ იგებდა.

გიგლას სიყვარულიც სწამს და ღმერთიც. გულისწორის თვალებს დღედაღამ „უკვნესის“ და ტკივილით ხუნძლავს სატრფოსადმი მიძღვნილ სტრიქონებს – ოქროს თავთავებს. ქარს ატანს ოხვრას რჩეულის სახლის ფანჯრებზე შემოსახეთქებლად. მისმა სილამაზემ კი ათქმევინა:

შენ რომ ტირიფებთან ჩაიარე,
ასე მომეჩვენა ნაიარევს:
უფრო დაგიხარეს ტოტები და
შენი სილამაზე აღიარეს.
მეფე მომეახლა გაოგნების
მასთან ხელგაყრილმა გავიარე,
გული მეცხრე ცაზე შეთარეშდა,
გრძნობა გადარევას ვაზიარე.

გიგლას პოეზია გაცნობისთანავე შეიყვარეს და შეისწავლეს საგარეჯოს არასახელმწიფო საერო სკოლის პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და ავტორს ამას წინათ შემოქმედებითი საღამო გაუმართეს. ღონისძიება საამო ჰანგებით დაამშვენა საგარეჯოს ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ჩინარმა“ (ხელმძღვანელი ნელი გულიკაშვილი), მათი უმშვენიერესი ხმებით შესრულებულმა მთიელ ხალხთა სიმღერებმა ყველა მოხიბლა. („ჩინარი“ მსოფლიოს ფოლკლორული ფესტივალის „ვერცხლის ხმების“ მფლობელია და მათი „იავნანა“ შესულია პარიზში 2005 წელს გამოცემული „მსოფლიოს 20 საუკეთესო „იავნანის“ ოქროს კომპაქტ-დისკში).

საღამოზე „ჩინარის“ გოგოებისადმი მიძღვნილი გიგლას კაფიებიც წაიკითხეს. გიგლა ჭინჭარაულს საკუთარი ლექსები მიუძღვნეს ახალგაზრდა პოეტებმა: **რომან ზუკაკიშვილმა და მალხაზ წიკლაურმა.** თბილი სიტყვებითა და სიყვარულით მიესალმნენ საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი ქ-ნი **ნათელა დიღმელაშვილი,** რაიონული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი, თავადაც პოეტი ქალბატონი **თინათინ კობაური** და რაიონის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი **ალექსი არაბული** (სწორედ ბ-მა ალექსიმ გააცნო მკითხველს პირველად გაზეთით. ახალგაზრდა ხევსურ პოეტს მიესალმნენ პოეტები: **იზა ჯაჭვაძე, მარინე თექთუმანიძე** და **ჯუმბერ გოგრიჭიანი,** ხოლო პოეტმა გიგლა ჭინჭარაულმა დიდი სიყვარულისა და პატივისცემის პასუხად საკუთარი ახალი ლექსები წაუკითხა მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს.

საგარეჯოს კერძო სკოლაში ბევრი ნიჭიერი ბავშვია. აქაურ მასწავლებლებს უამრავი ღონისძიების გამართვა აქვთ დაგეგმილი. და ალბათ ამ სკოლაშიც აღიზრდება ის, ვისაც შემდეგ არსთა განმრიგე გიგლასავით ათქმევინებს: „ღმერთო, მამულის მცველად მამხედრე!“ ან:

„უნაპიროა რუსთველის ზეცა,
უნაპიროა ვაჟას მთა-ველი,
უნაპიროა ჭალებიც, ტყეცა,
ვინ თქვა სამშობლო ერთი მტკაველი?“

ლეილა არჩემაშვილი

ექსპრომტი გიგლა ჭინჭარაულს

ხან ლომივითა ბუხუნებ, ხან ჩიტის ფრთები შეგსხმია,
შენც ლექსი გადაგეყარა, როგორც ერთ მოყმეს ვეფხვია,
ქარაფზე გადაეკიდე, მაგრამ წარბი არ შეგხრია,
ნისლი ვით სატრფოს ნაწნავი ზედ მკერდზე შემოგეხვია,
ტრფობის კედელში ჩაკირულს ვეღარას გაკლებს მეხია,
გული გინთია სანთლადა, ტაძრად რომ შესდგა ფეხია,
ფიცვერცხლნაჭამო მთასთანა, გიგლავ, ერთი მთა შენც გქვია.
და საქართველოს მზესავით ჭრილობა დაგრჩა შენც ღია,
მდიდარ ხარ, არ შაედრების მგონის თქმულს ოქრო-ვერცხლია,
მოგონილია სხვა ცეცხლი, ახლა შენს გულს რომ ცეცხლია,
ცისკარიც მისთვის ბრწყინვალებს, რომ ღამე გაგიტეხია,
შენი ლამაზი ოცნებაც სამშობლოს ზეცას ემთხვია.

რომან ზუკაკიშვილი

მილოცვა

გაზეთი „კავკასია“ გულითადად ულოცავს 70 წლის იუბილეს საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, კლასიკოს მწერალსა და პროფესორს, საზოგადო მოღვაწესა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

რევაზ მიშველაძეს

მწერალს, საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგეს – **ზაალ ბოტკოველს** გულოცავთ შვილიშვილის **გიორგის** დაბადებას.

ფოტოხელოვან **ჯემალ კასრაძეს** ვულოცავთ დაბადებიდან 65 წლისთავს.

კავკასია

დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **იზა ჯაჭვაძე**

რედაქტორი ლაშა-გიორგი ძრავეიშვილი

რედაქტორის მოადგილე დიანა გიგიაძე

სარედაქციო საბჭო: ივანე წიკლაური, კობა ბუჩუკური, რეზო კობიაშვილი, ლევან ცალუღელაშვილი, გიორგი იჩუაიძე, ნუგზარ იდოიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩემაშვილი, მარინე თექთუმანიძე, ლეილა არაბული, მზია ხეთაგური, ომარ მარუქაშვილი, ნონა სუჯაშვილი.

გაზეთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალებში შეტანილი ფაქტების სისწორეზე, ავტორთა მოსაზრებები შესაძლოა არ ეთანხმებოდეს რედაქციის პოზიციას. გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია

მისამართი:
კოსტავას ქ.№14
ტელ: 52-16-38
899-79-76-13